პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 (20047) პარასკევი, 8 იანვარი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნის ტექნიკური არსენალი

მანქანათმშენებლობას საკვანძო როლი განეკუთვნება სახალხო მეურნეობის ტექნიკურ განახლებაში, ყველა მისი დარგის ინტენსიფიკაციაში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განხორციელებაში. სწორედ ამიტომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა მანქანათსაშენებელი კომპლექსის მოდერნიზაციის პროგრამა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმმა მოიწონა. იმას, თუ რამდენად ენერგიულად მიმდინარეობს ამ პროგრამის რეალიზაცია, თვალსაჩინოდ მოწმობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოწყობილი გამოფენა.

6 იანვარს ექსპოზიციას გაეცნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. პ. ბირიუკოვა, ა. თ. დობრინინი, ა. ი. ლუკიანოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ვ. კაპიტონოვი.

გამოფენაზე აგრეთვე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ს. სილაევი, ბ. ლ. ტოლსტიხი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მანქანათმშენებლობის განყოფილების გამგე ა. ი. ვოლსკი, სსრ კავშირის მინისტრები, მეცნიერები, მანქანათმშენებლობის წამყვანი სპეციალისტები.

მანქანათმშენებლობის გაერთიანებებმა და საწარმოებმა, ინსტიტუტებმა და საკონსტრუქტორო ბიუროებმა წარმოადგინეს 2,5 ათასზე მეტი დიდეფექტიანი მანქანა, ტექნოლოგიური ხაზი, დამმუშავებელი ცენტრი და ავტომატიზაციის საშუალებები. ექსპოზიცია კომპლექსურ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ახალ სახეობათა მანქანათმშენებლობის პროდუქციის შემუშავებისა და ათვისების, დარგობრივი მეცნიერების განვითარების, წარმოების მოდერნიზაციისა და მისი ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის პროცესები, გამოფენაზე გამოყოფილია მანქანათსაშენებელი კომპლექსის საკადრო უზრუნველყოფის, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის, სახალხო მეურნეობის საქონლის წარმოების, მანქანათმშენებლობის დარგში საერთაშორისო ინტეგრაციის განყოფილებები.

დარგებში მიმდინარეობს ახალი თაობის ტექნიკის შექმნის აქტიური პროცესი, რომელიც შრომის ნაყოფიერების მრავალგზის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. მანქანები, მოწყობილობა და ხელსაწყოები სულ უფრო მეტად აღიჭურვება ელექტრონიკით, იძენს პრინციპულად ახალ თვისებებს. გამოფენაზე წარმოდგენილია გამოთვლითი საშუალებების, ავტომატიზებული დაპროექტების, ურთულესი ტექნოლოგიური პროცესების მართვის უახლესი სისტემების ფართო გამა. თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები ახალი ეფექტიანი მიდგომა ძირითად სახალხო-სამეურნეო კომპლექსებში სრული ტექნოლოგიური ციკლისათვის საჭირო მოწყობილობის შექმნისადმი.

იზრდება მანქანათმშენებელთა წვლილი პარტიის სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში. ეს იმით გამოიხატება, რომ იქმნება სულ უფრო მეტი დიდადეფექტიანი მოწყობილობა მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის, ვაჭრობის, მომსახურების სფეროსათვის. ნაჩვენებია, თუ როგორ აფართოებენ საწარმოები საცხოვრებელი სახლების, სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას. აუმჯობესებენ სამედიცინო მომსახურებას, ქმნიან ხელშემწყობ შესაძლებლობებს თავიანთი კოლექტივების სწავლისა და დასვენებისათვის.

კონკრეტული მაგალითებით ნაჩვენებია ადამიანის ფაქტორის როლის განუხრელი გაძლიერება, ინიციატივის, გერგილიანობის განვითარება, ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის საქმისათვის პასუხისმგებლობის ზრდა. კარგად ჩანს ის, რომ შრომითი კოლექტივები დიდად არიან დაინტერესებული გადავიდნენ მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებზე, სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, გააფართოონ დემოკრატიზაცია.

ახალი ტექნიკის შექმნაში ფართოდ მონაწილეობენ ჩვენი მეგობრები, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები. საერთაშორისო ინტეგრაცია აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრიორიტეტული მიმართულებებით მოძმე ქვეყნების მანქანათმშენებლობის წინსვლას.

გამოფენის დათვალიერების დროს გაიმართა გულახდილი და მომთხოვნელი სჯა-ბაასი მანქანათმშენებლობის დიდეფექტიან პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის უპირველესი და პერსპექტიული მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილების საჭიროების შესახებ.

შეაჯამა რა აზრთა გაზიარების შედეგები, მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: გამოფენის მთავარი მნიშვნელობაა ის, რომ მან ასახა ფრიად საგულისხმო პრაქტიკული ნაბიჯები მანქანათსაშენებელი კომპლექსის გარდაქმნის მაგისტრალური მიმართულებით — მსოფლიო დონეზე შექმნილი ტექნიკის გაყვანის უზრუნველყოფის მიმართულებით. ექსპოზიცია ერთმნიშვნელოვან პასუხს იძლევა: ამ ურთულესი, უაღრესად პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტა ჩვენს მანქანათმშენებლებს ხელეწიფებათ. ამასთან, კი არ უნდა მიჰბაძონ საზღვარგარეთის ნიმუშებს, თუნდაც საუკეთესოებს, არამედ შექმნან საბჭოური მეცნიერების მიღწევების საფუძველზე მოწინავე მოწყობილობა, რომელიც ბევრად უსწრებს ამ ნიმუშებს. ასეთია ამიერიდან მანქანათსაშენებელი კომპლექსის კურსი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის საიმედო ტექნიკური არსენალი.

უნდა ითქვას, რომ მანქანათმშენებლები კარგად გაისარჯნენ. ჩვენს დროში, ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, უაღრესად საჭიროა ვაჩვენოთ ყოველივე იმ ახლის ყლორტები, რასაც გარდაქმნა წარმოშობს.

მ. ს. გორბაჩოვმა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა და მეცნიერთა ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რაოდენ საჭიროა ახლა დავმკვიდრდეთ მოწინავე სამეცნიერო-ტექნიკურ პოზიციებზე და უფრო სწრაფად ვიაროთ წინ, ნიადაგ ვუმატებდეთ მუშაობას მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის პროგრამის მთავარი მიმართულებებით. ეს უწინარესად ეხება ჩარხმშენებლობის, ელექტროტექნიკის, ხელსაწყოთმშენებლობის განვითარების ტემპის ზრდას, მოწყობილობის, ელექტრონიზაციის დაჩქარებას და ამისათვის სპეციალური მაკომპლექტებელი ნაწარმის შექმნას. მტკიცედ უნდა დავძლიოთ დარგობრივი მეცნიერების ჩამორჩენა.

განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლა, როცა დადგა გარდაქმნის ყველაზე რთული დრო, როცა იგი ეხება ეკონომიკის ყველაზე სიღრმისეულ პროცესებს, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ პარტია არ შემცდარა მანქანათმშენებლობის როლისა და მნიშვნელობის შეფასებაში, სწორად მოიქცა, როცა მისი უპირატესი განვითარებისათვის დააწესა განსაკუთრებული სახელმწიფო პრიორიტეტები. იგი ხომ საბოლოო ანგარიშით ქვეყნის საწარმოო აპარატის სწრაფი განახლების, მეცნიერული იდეების მატერიალიზაციის, ეროვნული შემოსავლის ზრდის სტაბილური ტემპის მიღწევის, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საფუძველია.

მანქანათსაშენებელი კომპლექსის აყვანა მსოფლიო პრაქტიკის უმაღლეს საფეხურზე დღეს უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. მის გადაწყვეტაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ყველა — უწინარეს ყოვლისა მანქანათმშენებლობისა და მომიჯნავე დარგების შრომითი კოლექტივები, მანქანათმშენებლობის სამინისტროები, ცენტრალური ეკონომიკური ორგანოები, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციის მიღებული პროგრამიდან, მისთვის მინიჭებული სახელმწიფო პრიორიტეტებიდან ყოველგვარი გადახვევა შეუწყნარებელია.

გამოითქვა რწმენა, რომ მანქანათსაშენებელი კომპლექსის წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად გამონახავენ საჭირო ძალებსა და საშუალებებს, შემდგომ წარმატებებს მიაღწევენ ამ დიდმნიშვნელოვან დაძაბულ მუშაობაში.

(საქინფორმ).

გამოფენის დათვალიერების დროს. საქინფორმ-საქინფორმის ტელეფოტო.



1. უბნის ინსპექტორი

შარშან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის საბჭომ მოაწყო გამოკითხვა. გამოკითხულთა ერთმა ნაწილმა უბნის ინსპექტორთა პიროვნული თვისებების შეფასებისას განაცხადა, რომ უმრავლესობას საერთოდ არ გააჩნიათ დადებითი პიროვნული თვისებები. უბნის ინსპექტორთა ნაკლოვანებების შესახებ კი ისინი პირველ რიგში მიუთითებენ, რომ აკლიათ პროფესიული მომზადება, საზოგადოებრივზე მაღლა პირად ინტერესებს აყენებენ; ნაწილი მათს მთავარ ნაკლად გადაწყვეტილების მიღების უუნარობას თვლის, სხვები „გაუბედაობასა და სიმხდალეს", კულტურისა და განათლების დაბალ დონეს აღნიშნავენ, ზოგნი პირად დაინტერესებაზე მიუთითებენ სამსახურებრივი საკითხების გადაწყვეტისას. **მაიორი არსენ ლვინიანიძე** კი ვერ ერგება საზოგადოებრივი აზრით გამოკვეთილ უბნის ინსპექტორის სტერეოტიპს.

ეს ის უბნის ინსპექტორია, რომელსაც ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოუსმინა და რომლის საქმიანობაზეც ასე ფართოდ იმსჯელეს. არსენ ლვინიანიძის მუშაობა დადებითად შეფასდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისმა სიტყვებმა და საქმემ მისი და კოლეგების არაერთი სატკივარი და პრობლემა გამოავლინა. უპირველეს ყოვლისა კი მოსახლეობის ფართო ფენებს შორის გავრცელებული უარყოფითი აზრისა და უნდობლობის აღმოფხვრა დაისახა მიზნად მაშინ არსენმაც და მთელმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. გადაწყვიტეს სხვადასხვა ღონისძიება გაეტარებინათ საიმისოდ, რომ უბნის ინსპექტორთა სამსახური გათავისუფლებულიყო უვარგისი თანამშრომლებისაგან და ენერგიითა და ინტერესით სავსე ახალგაზრდებით შეევსოთ მათი რიგები; ეზრუნათ მათი სამუშაო ოთახების კეთილმოწყობისათვის, გაეთავისუფლებინათ ისინი ზედმეტი და აფსურდული დატვირთვისაგან, საჭიროების შემთხვევაში უბნის ინსპექტორები, თურმე, საბინაო გადასახადსაც კი კრებენ, რომ არაფერი ვთქვათ, მილიციის სამსახურებში მათს გაუმართლებელ დასაქმებაზე და უშუალო მოვალეობას მოწყვეტაზე. მოკლედ, მილიციის უბნის ინსპექტორთა საქმიანობის ძირეული გარდაქმნა იყო საჭირო. მას შემდეგ ათი თვე გავიდა.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

იზრდება „ბორჯომის" ჩამოსხმა

იმედიანად დაიწყო ახალი სამეურნეო წელი საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" კოლექტივმა. ახლა საშუალოდ დღეში ბორჯომელები 920 ათას ბოთლ მინერალურ წყალს ასხამენ, ეს დაახლოებით 120 ათასი ბოთლით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

გუშინ მეორე ჩამოსასხმელი წარმოების იმ ბრიგადამ, რომელსაც ნ. კურტანიძე ხელმძღვანელობს, 148 ათასი ბოთლი „ბორჯომი" გაუგზავნა მომხმარებელს.

პროდუქციის წარმოების ზრდას დიდად შეუწყობს ხელს ახალი იმპორტული ჩამოსასხმელი ხაზი, რომლის მონტაჟი და საექსპლოატაციოდ გადაცემა მეორე კვარტალისათვის არის გათვალისწინებული.

ახალი ხაზის სიმძლავრე საათში 12 ათასი ბოთლი მინერალური წყალია.

▼ ▼

ახალი ნაკადური ხაზი

იტალიური დანადგარებით აღიჭურვა ხელვაჩაურის ციტრუსების გადასამუშავებელი ქარხანა „ნარინჯი". მის ვიტამინიზებულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა. იგი იგზავნება ქვეყნის ათობით სავაჭრო ცენტრში.

ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ნაკადური ხაზი. იგი დაამონტაჟა იტალიის ფირმა „მონტეკმა". ხაზზე მილებით შემოდის მანდარინის მზა ჯემი, რომელიც იხუფება 30 გრამიან კოლოფებში. უკვე გამოუშვეს მილიონობით ცალი კოლოფი. პროდუქცია გაიგზავნა მოსკოვში, ლენინგრადსა და ქვეყნის სხვა ცენტრალურ ქალაქებში. მომავალში გამოშვებული იქნება 2,50 გრამი ტევადობის კოლოფები. წელს ქარხანა გამოუშვებს ახალი რეცეპტურის მურაბებსა და ვიტამინიზებულ წვენებს.

ახალი წლის შრომითს ვახტზე თავი გამოიჩინეს საგამომშრელლო-სავამომქვეთო და № 2 სამკერვალო საამქროებმა, რომლებსაც გიორგი გაბედავა და კონსტანტინე ჯარაევი ხელმძღვანელობენ.

▼ ▼

კარგად დაიწყეს

სოხუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის (დირექტორი — ქ. მიქაძე) კოლექტივმა შარშანდელი წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. წლიური გეგმით გათვალისწინებული 11.150 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 11.973 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო 10.200 ათასი მანეთის ნაცვლად რეალიზებულია 12.147 ათასი მანეთის ფეხსაცმელი. მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით 1.950 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ფეხსაცმელი მიიღო. მოგების 11 თვის დავალება 137 პროცენტით შესრულდა, გეგმის გადამეტებით მიღებულია 643 ათასი მანეთის მოგება.

სოხუმელი მეფეხსაცმელეები კარგად მოემზადნენ და ჯერ კიდევ შარშან გადავიდნენ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალ ფორმაზე — სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

ჩინებულად დაიწყო ახალი წელი ფაბრიკის კოლექტივმა. გეგმით გათვალისწინებული 88.200 მანეთის ნაცვლად უკვე გამოშვებულია 92.600 მანეთის პროდუქცია, რაც 3.400 მანეთით აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

სახელმწიფო მიღება

პრეტენზია სამინისტროსადმი

მწვავე სიგნალი

შეჯამდა საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის" კოლექტივის ერთი წლის მანძილზე სახელმწიფო მიღების პირობებში მუშაობის შედეგები. ამ დროის მანძილზე აქ არც ერთი რეკლამაცია არ მიუღიათ გაერთიანების მარკიანი პროდუქციის ხარისხის გამო. იგი პირველი იანვრიდან თვითდაფინანსებაზე გადავიდა. „საქელექტრომანქანის" გენერალურმა დირექტორმა თ. ნოზაძემ თქვა, რომ წარმატებები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო ოდნავ მეტ ყურადღებას რომ უთმობდეს კოლექტივის საჭიროებებს.

გაერთიანების ხელმძღვანელის აზრს მთლიანად ეთანხმება საწარმოს კოლექტივის ყველა წევრი. ისინი უჩიოდნენ ნედლეულით, მასალებით, მოწყობილობით ცუდ მომარაგებას, თქვეს, რომ ჩარხების დიდი უმრავლესობა თითქმის გაცვეთილია და მუშათა შრომითი ენთუზიაზმი რომ არა, ახლა სავალალო მდგომარეობა იქნებოდა. მოიყვანეს მაგალითები. გასული წლის მხოლოდ მეოთხე კვარტალში, და არა პირველში, როგორც დაგეგმილი იყო, მიიღეს ახალი სახეხი და საბალანსირებელი ჩარხები. ქარხანა კი თითქმის მთელ წელიწადს მუშაობდა მოძველებული მოწყობილობით. მხოლოდ მეორე კვარტალიდან, და არა იანვრიდან, დაიწყეს დინამოს ფოლადის მიღება. ყოველგვარი ვადებისა და დაპირებების დარღვევით მიიღეს საგრაგნილი სადენი. დაიწყეს მისი გამოყენება პროდუქციაში, და გამოირკვა, რომ მიუღიათ... წუნი. ცხრა ტონა სადენი ჩამოწერეს როგორც უვარგისი საქონელი, მიმწოდებელს კი წარუდგინეს 20 ათასი მანეთი ჯარიმა.

— გამოდის, რომ თქვენი სამინისტრო თქვენვე გიშლით ხელს მუშაობაში?..

— არ ვიცი, რა ვუწოდო ამას, მაგრამ სამინისტროს მიმართ საკმაო პრეტენზიები გვაქვს, — თქვა თ. ნოზაძემ. — მოგვეხერხდა ყველა საკითხის დაუსრულებლად შეთანხმება მათთან, მთხოვნელის როლი, მოსკოვში საქმის გამჩარხავთა გაგზავნა, წერილებით, დეპეშებით, ტელეფონის ზარებით იმ მოვალეობათა შეხსენება, რომლებიც მათ იკისრეს ჩვენს წინაშე. ამას ხმარდება დიდი დრო, სახელმწიფო სახსრები, ყოველივე ეს გვიშლის ნერვებს. საქმე კი ძალზე ნელა მიიწევს წინ. თუ ჩვენს მიმართ დამოკიდებულება არ შეიცვლება, თუ კვლავ დავრჩებით გერის როლში, ძალზე ძნელი იქნება თვითდაფინანსების პირობებში მუშაობა. ასეთია კოლექტივის აზრი.

თ. ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

არასაუწყებო კონტროლი მკაცრად მოგვკითხავს

პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასული სამრეწველო ობიექტების წრე გაფართოვდა. მათ მიემატა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის კიდევ თერთმეტი საწარმო. ესენია **მშენინდუსტრიის მანქანათსაშენებელი კომპლექსის, ხისა და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის, სახაგრომრეწვის ორგანიზაციები.**

როცა აგრომრეწვის საწარმოებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, ზუგდიდის ჩაის კომბინატი. სახელმწიფო მიღებაზე გადასული ეს სამრეწველო ობიექტი არ არის მზად ახლებური მუშაობისათვის. კომბინატს შეუძლია არასაუწყებო კონტროლს ჩააბაროს მთელი გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 30 პროცენტი და თანაც იმ პირობით, თუ მას დაემატება 70 პროცენტი ინდური და შერჩეული ქართული ხარისხოვანი ჩაის 30 პროცენტი.

კომბინატის მწვანე აგურა ჩაის მწარმოებელი ტექნოლოგიური ხაზი თითქმის 45 წელია ექსპლოატაციაშია და, ცხადია, მოძველდა ფიზიკურად და მორალურად. მისი სასწრაფო შეცვლა გარდაუვალი, სადღეისო ამოცანაა. ერთი სიტყვით, მთავარ პრობლემად რჩება ნედლეულის ხარისხი. იგი ელემენტარულად მაინც უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტების მოთხოვნებს.

სანახევროდაც არ არის მზად ახალ პირობებში მუშაობისათვის **თბილისის № 2 სახლთსაშენებელი კომბინატი.** არც აქ დამზადებული საკედლე პანელები შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს და, ალბათ, ასე გაგრძელდება, სულ ცოტა, ნახევარ წელიწადს მაინც. ვერ იცავენ მოწყობილობის რემონტისა და მისი საიმედოობის შემოწმების გრაფიკს, არ განხორციელებულა სამუშაო ადგილების კვალიფიციური ატესტაცია. საამქროებს ესაჭიროებათ დამყვანი ხაზები, აგრეთვე დამტკიცებული საკონტროლო სავტალონო ნიმუშები. მთლიანად გასაახლებელია ტექნოლოგიური ტრანსპორტის პარკი და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია **საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო** ობიექტების პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ წლების განმავლობაში მშენებლების მისამართით მხოლოდ პრეტენზიები მოდიოდა, მათ მიერ საექსპლოატაციოდ ჩაბარებული სოციალური დანიშნულების ობიექტები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ვნახოთ ახლა, შეძლებენ თუ არა ახალი მოთხოვნების შესაბამისად მშენებელთა მობილიზებას მშენებლობის სამინისტრო, თბილისქალაქმშენი და თბილისის საქალაქო საბჭო.

შემდეგი საწარმო, რომელშიც პროდუქციას წლის დამდეგიდან სახელმწიფო ორგანოები იღებენ, **თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკაა.** სამწუხაროდ, ეს ფაბრიკაც არ არის მზად იმისათვის, რომ პროდუქცია მთლიანად წარუდგინოს არასაუწყებო კონტროლს. ამიტომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი, რომ ნება დაერთოს საწარმოს ჯერჯერობით სახმილებას გამოშვებული პროდუქციის მხოლოდ 50 პროცენტი წარუდგინოს. რატომ? იმიტომ, რომ აქ არსებულ დანადგართა დიდი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს სტანდარტების შესაბამისი დონის ნართის დამზადებას.

არ უნდა დიდი მტკიცება იმას, რომ პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლა **თბილისის კერამიკის კომბინატსაც** ძალიან გაუჭირდება. აქ მოქმედი ტექნოლოგიური დანადგარები გაცვეთილია, ხაზების 70 პროცენტს ექსპლოატაციას უწევენ 10-15 წლის განმავლობაში. ეს საკმაოდ დიდი დროა. გარდა ამისა, საწარმოში ვერ იცავენ შემოსული ნედლეულისა და მასალების შენახვის პირობებს, არ ჰყოფნით საწყობები, ეგეც არ იყოს, ნედლეული, რომლისგანაც ძირითადი პროდუქცია მზადდება, მკვეთრად განსხვავდება დასაშვებისაგან.

ვერც საცდელი ბაზა უზრუნველყოფს პროდუქციის მთელი მოცულობით შემოწმებას. არ შეესაბამება მოთხოვნებს მოსაპირკეთებელი ფილების გამოსაწვავი საამქროს მდგომარეობა, არ ჰყოფნით საზომი და მაკონტროლებელი საშუალებები, რაც საბოლოოდ წუნიანი პროდუქციის გამოშვებას უკავშირდება. გადასაწყვეტია მოსაპირკეთებელი ფილების შეფუთვის საკითხიც.

რაც შეეხება **ხელვაჩაურის ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამმუშავებელ კომბინატს,** აქაც თავისებური გასაჭირი აქვთ. მართალია, კომბინატი აღჭურვილია იმპორტული დანადგარებით, მაგრამ არა აქვთ მზა პროდუქციის ანალიზისათვის საჭირო მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, რის გამოც საწარმოდან გადის უხარისხო ნაწარმი, რაც მომხმარებელთა სამართლიან პრეტენზიებს იწვევს.

არასაუწყებო კონტროლი იღებს წლის დამდეგიდან პროდუქციას **ზუგდიდის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატშიც.** საამისოდ აქ მზად არის მხოლოდ საგრძნობადო ჩაის ქაღალდის გამომშვები საამქრო. წარმოების დანარჩენ უბნებზე კი არადამაკმაყოფილებელია დანადგართა მდგომარეობა და რაც, ალბათ, ყველაზე დასანანია, ნედლეული და მასალები ვერ უზრუნველყოფენ სტანდარტების დონის შესაბამისი პროდუქციის გამოშვებას.

„ანალიზხელსაწყოს" საწარმოო გაერთიანების **„თბილისხელსაწყოს"** ქარხანა ძირითადად მზად არის ახლებური მუშაობისათვის, მაგრამ გასაკეთებელი ამ მხრივ მაინც საკმაოდ აქვთ. დასამთავრებელია აღჭურვილობის, ჩარხების, დამხმარე დანადგარების შემოწმება მათი ტექნოლოგიური სიზუსტის დასადგენად, მოსაგვარებელია ტექნიკური კონტროლის შრომის ანაზღაურების საკითხი.

უამრავი ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკითხი აქვს მოსაგვარებელი არასაუწყებო კონტროლზე გადასულ **თბილისის „ელექტროავტომატიკის" ქარხნის** კოლექტივსაც. დასამთავრებელია ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გადასინჯვა, ხელახლა უნდა დაპროექტდეს და გადამუშავდეს ათობით საჭურველი. ახალი პროდუქციის ათვისებასთან დაკავშირებით საჭიროა ახალი საცდელი სტენდები. სპეციალისტებით დასაკომპლექტებელია ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილება. აკლიათ მტკიცე შენადნობებისაგან დამზადებული ტვიფრები და სხვა. გადამჭრელი, ოპერატიული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს.

ქუთაისის რეზინ-ტექნიკურ ქარხანაშიც ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. საკონსტრუქტორო დოკუმენტაციის ნაწილი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და არც საცდელი სტენდებია მთლიანად ატესტირებული. მხოლოდ 20 პროცენტით არის უზრუნველყოფილი ქარხანა საწყობებით. სახელმწიფო მიღებაზე გადასული საწარმოსათვის ძირითად ხელშემშლელ მიზეზად რჩება უხარისხო ნედლეული. შარშან ქარხანამ დაიწუნა 430 ტონა კაუჩუკი, ესე იგი სუმგაითის კაუჩუკის კომბინატიდან შემოსული მთელი ნედლეულის 37 პროცენტი. სამწუხაროდ, ვერც ყაზანის კაუჩუკის ქარხანა აწვდის ქუთაისელებს ხარისხიან ნედლეულს. საერთოდ, თუ ქუთაისის რეზინ-ტექნიკური ქარხანა დროულად განახორციელებს საამისოდ დასახულ საჭირო ღონისძიებებს, წარმატებით შეძლებს სახელმწიფო მიღების პირობებში მუშაობას. აქ შექმნილი აქვთ სირთულეების დაძლევის კარგი გამოცდილება.

რამდენადმე დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა **ბათუმის ხის დამმუშავებელ კომბინატში,** თუმცა აუცილებელია მკვეთრად გაუმჯობესდეს ავეჯის საწარმოებისათვის მისაწოდებელი ნედლეულის ხარისხი.

— **„ელვას" სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მეთაური ქარხანა** მეთერთმეტეა იმ საწარმოებიდან, რომლებიც წლეულს გადავიდნენ სახელმწიფო მიღებაზე. აქ უკვე მთავრდება გამოსაშვები პროდუქციის ნიმუშების შექმნა, ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის დაკომპლექტება, გრაფიკის სრული დაცვით მიმდინარეობს დანადგართა რემონტი. მეტროლოგიურმა სამსახურმა კი დაამთავრა საზომ საშუალებათა და სასტენდო დანადგართა შემოწმება. ამასთან საწარმომ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ დროულად განაახლოს დანადგართა პარკი.

როგორც ხედავთ, არასაუწყებო კონტროლზე გადასვლის წინ საწარმოები მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან, მაგრამ, იმედია, თანდათანობით სირთულეები დაიძლევა, და ეს ლიტონი სიტყვები არავის ეგონოს.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ შარშან ახალ პირობებში მუშაობდა 21 საწარმო და მათი უმეტესობა თავდაპირველად წარმოუდგენლად დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. დროთა განმავლობაში ბევრი რამ დაიხვეწა, მოწესრიგდა, გაირკვა, ჩამოყალიბდა, ჩადგა კალაპოტში.

შარშან, თერთმეტი თვის მონაცემებით, სახელმწიფო მიღებამ პირველი წარდგენით საშუალოდ უკვე მთელი პროდუქციის 87 პროცენტს იბარებდა. ამით გზა გადაეღობა სახალხო მეურნეობისათვის გასაგზავნი 120 მილიონი მანეთის წუნდებულ ნაწარმს. 1986 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მომხმარებლის მიერ დაწუნებული პროდუქციის **მოცულობა შემცირდა 8,8 ჯერ, ხოლო რეკლამაციების რიცხვი — 4,7-ჯერ.**

მიაქციეთ ყურადღება: შარშან თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ, ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის, რუსთავის ამწე-სამენებელი, ცხინვალის ელექტროვიბრაციული, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი და მანქანათსაშენებელი, ფოთის ჰიდრომექანიზაციის, მანქანათსაშენებელი ქარხნების, თბილისის „განთიადის" საწარმოო გაერთიანების, თბილისის „ანალიზხელსაწყოს", სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების კოლექტივებს საერთოდ არ მიუღიათ რეკლამაციები.

მაშასადამე, პროდუქციის სახელმწიფო მიღებამ დაამტკიცა თავისი დიდი სიცოცხლისუნარიანობა, ყველას ნათლად დაანახვა, რომ ეს არის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ნამდვილი ბრძოლა საქმით, და არა სიტყვით. სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე საწარმოების წარმატებაც ხომ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებენ ისინი იმოქმედონ შეუფერხებლად არასაუწყებო კონტროლის პირობებში.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის" მიმომხილველი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შესახვედრად.

სიძველეები გარდაქმნისათვის

საგრძნობი გარდატეხა არ იგრძნობა

ვუმატოთ მუშაობას, ვიმოქმედოთ უფრო თანამიმდევრულად

(საქინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ფლის თითოეულ კომლს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ბუნებრივი გაზის სიკეთით.

▼▼

რომელი მუზეუმია უკეთესი?

შეჯამდა საზოგადოებრივი საწყისებით მოქმედი მუზეუმების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს. დათვალიერება მიმდინარეობდა გასული წლის 1 ივნისიდან 1 დეკემბრამდე და მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, ექსპოზიციების იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონის ამაღლებას, მასობრივ ღონისძიებათა რიცხვის ზრდას.

საქართველოს პროფსაბჭომ საპატიო სიგელებით დააჯილდოვა საუკეთესო მუზეუმები: თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის რევოლუციური საბრძოლო და შრომითი დიდების, თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების, „საქსამთოქიმმრეწვის", „თბილისმარგარინმრეწვის" საწარმოო გაერთიანებების, შრომითი დიდების მუზეუმები, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეგობრობისა და სოციალისტური შრომის გმირთა მუზეუმი და ჩოხატაურის რაიონის სოფელ განახლების კოლმეურნეობის ვ. ი. ლენინის მუზეუმი.

▼▼

ოსტატებიც სწავლობენ

მანქანათმშენებელი პროფილის სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში საწარმოო სწავლების ოსტატთა და სპეციალური დისციპლინების მასწავლებელთა როლის ზრდის პრობლემები განიხილა რესპუბლიკურმა თათბირ-სემინარმა, რომელშიც მონაწილეობდა 30-ზე მეტი სასწავლებლის 150-მდე წარმომადგენელი. თათბირის ფარგლებში მოეწყო ღია გაკვეთილები.

▼▼

რუსული კალმახი

დაახლოებით ორი ტონა დელიკატესური პროდუქცია — კალმახი მიიღეს ქარელის რაიონის რუისის სპეციალიზებულ მეურნეობაში.

სადგამი გუნდის მოვლა-პატრონობის, ქვირითის შერჩევისა და ინკუბაციის ყველა ოპერაცია ერთიანი ციკლით სრულდება წყალსატევში, რომლის ზედაპირის ფართობი ერთი ჰექტარია. წარმოების საპროექტო სიმძლავრე ოცდაათი ტონა კალმახი წელიწადში, — თქვა მეურნეობის დირექტორმა ჯუმბერ ალავერდაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი აწყობს სამეცნიერო სესიას თემაზე: თეორიული ასპექტები მ. ს. გორბაჩოვის წიგნისა „გარდაქმნა და ახალი აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის".

სესია გაიმართება 1988 წლის 8 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. 29).

დასაწყისი 17 საათსა და 30 წუთზე.

გარდაქმნის ლაშქარი

2. უბნის ინსპექტორი

ზოგი რამ იქნებ კიდევაც გაკეთდა, მაგრამ არსენ ღვინიანიძისნაირები კვლავაც სანთლით საძებრები არიან უბნის ინსპექტორთა შორის. მის უბანზე (დღეისათვის განახევრებული აქვს უბანი და 5000 კაცს ემსახურება) ყველა იცნობს და თვითონაც ყველას, სრულიად ყველას სცნობს. 1974 წლიდან დღემდე არსენი 26 კომისრის სახელობის მილიციის რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორია და მისი უკმაყოფილო ჯერ არავინ ყოფილა.

ნაბიჯ-ნაბიჯ იმკვიდრებდა სახელსა და ავტორიტეტს დედაქალაქში ვანელი ბიჭი. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, 1972 წელს ჩააბარა მილიციის სკოლაში და წარჩინებით დაამთავრა იგი, 1978 წელს კი როსტოვის უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელში განაგრძო სწავლა; არის პარტიის წევრი, ხუთი შვილის მამა და, რაც მთავარია, სიკეთითა და კეთილსინდისიერებით, პასუხისმგებლობით სავსე კაცია. მის მიერ გახსნილ სისხლის სამართლის საქმეზე უფრო მნიშვნელოვანი ალბათ, ყმაწვილებში დათესილი კეთილი მარცვალია, აქა-იქ უკვე კიდევაც რომ იხარა და ნაყოფიც გამოიღო.

— არავისი არაფერი მინდა, ხუთი შვილის მამა ვარ და სულ იმას ვფიქრობ, ვინმემ ჩემს შვილებს ცუდად არ უხსენოს ჩემი სახელი. ფორმის ჩაცმის შემდეგ კი ავკაცობასა და ვაჟკაცობას შორის გადებულ ბეწვის ხიდზე დღეში ვინ იცის რამდენჯერ მიწევს გასვლა. მუდმივმა პასუხისმგებლობამ და ყველაფრისათვის მზადყოფნამაც თითქოს დამღალა უკვე, მაგრამ როგორც კი სულს მოვითქვამ ხოლმე, ვგრძნობ, რომ ასეთ გამუდმებულ წვასა და დაგვასაც ეჩვევა თურმე კაცი. ეჩვევა კი არა, მოთხოვნილებად გადაექცევა ვილაცას ვუთანაგრძნო, წავეშველო, ვილაცას წინ გადავუდგე. უკვე ჭადარაც შემერია და აწი ძნელია ცხოვრების ხელახლა დაწყება. ამ საქმეს უნდა ვემსახურო ბოლომდის.

ფელიქს კრიმსკი.

• • •

სურათებზე: მილიციის უბნის ინსპექტორი არსენ ღვინიანიძე სამუშაოზე მიდის; ოჯახთან ერთად.

იდეოლოგიური მუშაობა: გარდაქმნის პედაგოგიკა

ადამიანის ფაქტორი

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 233

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

მშრომელთათვის მეტი უნდა იზრუნონ

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს საწარმოო გაერთიანებების „ჩარხმშენებლის“, „ელმავალმშენებლისა“ და „საქქაღალდმრეწვის“ მიერ დამხმარე სასოფლო მეურნეობების შემდგომი განვითარებისათვის გაწეული მუშაობის შემოწმების შედეგებზე.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოო გაერთიანებათა მიერ დამხმარე სასოფლო მეურნეობების განვითარებისათვის გაწეული მუშაობა ვერ აკმაყოფილებს პარტიისა და მთავრობის მოთხოვნებს, მათ დღემდე არ განუსაზღვრავთ დამხმარე მეურნეობათა შემდგომი განვითარებისა და სასურსათო პროდუქტებით მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების ამოცანები. გაერთიანებათა ხელმძღვანელების მხრიდან კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტების შედეგად თვითდინებაზეა მიშვებული დამხმარე სასოფლო მეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა, ჩაშლილია პირუტყვისა და წარმოებული პროდუქციის საბუღალტრო და ზოოტექნიკური აღრიცხვა, რის გამოც შექმნილია საზოგადოებრივი ქონების განიავების პირობები.

უკიდურესად მცირეა დამხმარე სასოფლო მეურნეობათა რეალური წვლილი მუშა-მოსამსახურეთა სასურსათო რესურსების შევსებაში. ფაქტობრივად ამ საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს რესპუბლიკის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამხმარე სასოფლო მეურნეობათა შემდგომი განვითარების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების დავალებათა შესრულება, თითოეული საწარმო კი სახელმწიფო ფონდიდან საშუალოდ 70-80 ტონა ხორცს იღებს.

საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ ხელმძღვანელობის (გენერალური დირექტორი — თ. პაიჭაძე) მხრიდან კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტების, დამხმარე სასოფლო მეურნეობის დირექტორის ე. ასატუროვის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად, არარაციონალურად იყენებენ მათთვის მარნეულის რაიონში გამოყოფილ 370 ჰექტარ მიწას. უკიდურესად მწირია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა. დამხმარე მეურნეობამ 1986 წელს ვერც ერთ სახეში ვერ შეასრულა საწარმოო დავალება. სიმინდის ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 2, ხოლო ბოსტნეული კულტურებისამ — 35 ცენტნერი შეადგინა, რაც რაიონის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით 5-6-ჯერ ნაკლებია. საშუალოდ ნეზვზე მიღებულია 5 გოჭი, ანუ რაიონის მაჩვენებლებთან შედარებით 2-ჯერ ნაკლები. დაგეგმილი 10 ტონის ნაცვლად, წარმოებულია სულ 2 ტონა ხორცი.

მეურნეობაში პირუტყვის ზოოტექნიკური და საბუღალტრო აღრიცხვის მოუწესრიგებლობის შედეგად შექმნილია საზოგადოებრივი ქონების ხელყოფისა და განიავების პირობები. შემოწმების დროს გამოვლინდა 2,3 ათასი მანეთის 52 სული ზრდასრული ღორის დანაკლისი და 47 სული ზედმეტი მოზარდეული. დამხმარე მეურნეობამ 1986 წელს პროდუქციის წარმოებაზე დახარჯა 27 ათასი მანეთი, რაც 2,3-ჯერ აღემატება ამავე პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ ამონაგებს. დამხმარე სასოფლო მეურნეობის საქმიანობით გამოწვეულმა ზარალმა უკანასკნელ 3 წელიწადში 86 ათას მანეთს გადააჭარბა.

სერიოზული ნაკლოვანებებია საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ დამხმარე სასოფლო მეურნეობის საქმიანობაში. გაერთიანების ხელმძღვანელობის (გენერალური დირექტორი — ზ. ჩივაძე) მხრიდან კონტროლის შესუსტებისა და დამხმარე სასოფლო მეურნეობის დირექტორის ე. შავერდაშვილის უმოქმედობის შედეგად, რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მკაცრი დეფიციტის პირობებში, წლების მანძილზე გამოუყენებელია მათთვის დმანისის რაიონში გამოყოფილი 646 ჰექტარი სათიბ-საძოვარი, სადაც 1983 წლიდან შენდება 1149 ათასი მანეთის საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მეცხოველეობის მსხვილი კომპლექსი. მშენებლობა შეჩერებულია და დღემდე დახარჯული 1073 ათასი მანეთი უკუგებას არ იძლევა. ამავე მეურნეობის მიერ თიანეთის რაიონში აშენებულ 880 სულისათვის განკუთვნილ მეღორეობის ფერმაში მხოლოდ 64 ღორი ჰყავთ. დამხმარე მეურნეობაში 1986 წელს გეგმით გათვალისწინებული 30 ტონის ნაცვლად წარმოებულია მხოლოდ 5,1 ტონა ხორცი, შარშანდელ 9 თვეში კი მხოლოდ 700 კილოგრამი, წლიური გეგმით გათვალისწინებული 47 ტონის ნაცვლად. აქვე უხეშად ირღვევა პროდუქციის რეალიზაციის დადგენილი წესები. მეურნეობამ 1986 წელს ქარხნის 101 მუშა-მოსამსახურეს ცოცხლად მიჰყიდა ღორები, მაშინ, როცა ხორცის რეალიზაცია უნდა მოეხდინათ ქარხნის მომსახურე საზკვების საწარმოებისა და სავაჭრო წერტების საშუალებით. უფრო მეტიც, მეურნეობაში არ არის აღრიცხული, თუ ვისზე გაიცა 29 სული ღორი, რომელთა ღირებულება სალაროში შეტანილია მეურნეობის ზოოტექნიკოსის მიერ.

საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის“ დამხმარე სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად უკანასკნელ წლებში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ყველა პირობა ამ მეურნეობის რენტაბელური მუშაობისათვის. კვლავ მცირეა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, საქმისადმი დამხმარე მეურნეობის დირექტორის თ. ქარჩავას არამეურნეობრივი დამოკიდებულების შედეგად, ყოვნდება რეზერვების ამოქმედება.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებით საწარმოო გაერთიანებების „ჩარხმშენებლის“, „ელმავალმშენებლის“ და „საქქაღალდმრეწვის“ გენერალური დირექტორების თ. პაიჭაძის, ზ. ჩივაძისა და ო. ფაცაციას ყურადღება მიექცა დამხმარე სასოფლო მეურნეობების საქმიანობაში შემოწმებით გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებს და უკანონობის ფაქტებს. მათვე მოეთხოვათ ღონისძიებათა განხორციელება ამ საქმეში სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად და დამხმარე სასოფლო მეურნეობების შემდგომი განვითარების თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა მოთხოვნების განუხრელად შესრულების უზრუნველსაყოფად.

მათი ანგარიში დამხმარე სასოფლო მეურნეობების შემდგომი განვითარებისათვის გატარებულ ღონისძიებებსა და მიღწეულ შედეგებზე მოსმენილი იქნება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სხდომაზე 1988 წლის ნოემბერში.

მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, რამაც განაპირობა დამხმარე სასოფლო მეურნეობისათვის გამოყოფილი მიწების არარაციონალურად გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავლიანობა, პროდუქციის წარმოების გეგმების ჩაშლა და პირუტყვის დანაკლისი, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ დამხმარე სასოფლო მეურნეობის დირექტორს ე. ასატუროვს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ ხელმძღვანელობას დაევალა უზრუნველყოს შემოწმებით გამოვლენილი პირუტყვის დანაკლისის ანაზღაურება დამნაშავე პირების მიერ კანონმდებლობის გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.

საწარმოო გაერთიანებების „ელმავალმშენებლისა“ და „საქქაღალდმრეწვის“ დამხმარე სასოფლო მეურნეობების დირექტორების თ. ქარჩავასა და ე. შავერდაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა ზუგდიდის საქალაქო და ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტებს.

დღის საზრუნავი

ახალი „ქამთამრიცხველები“?

● ხელგაშლილობა საზოგადოებრივი მეურნეობის ხარჯზე ● სამეურნეო წელი ზარალით დაასრულეს

მწვავე სიგნალი

იქაურები შრომისმოყვარენი რომ იქნებოდნენ, ამაში დაეჭვების, აბა, რა უფლება გვქონდა, მაგრამ იმას კი აღარ მოველოდით, რომ 29-30 თებერვალს ერთხმად დაირაზმებოდნენ და შრომით სასწაულებს მოახდენდნენ. რომელ შარშანდელ კალენდარზე აღმოაჩინეთ 29 და 30 თებერვალი? რომელზე და ვანის რაიონის სოფელ კიროვის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, საფინანსო დარგის მუშაკები, ბრიგადირები რომ სარგებლობენ. განა მე-2 და მე-3 ბრიგადებში კოლმეურნეებს სწორედ ამ დღეებში არა აქვთ აღრიცხული 107 მანეთის სამუშაოს შესრულება. არ გჯერათ?

იქნებ ისიც არ დაიჯეროთ, რომ იმავე მუშაკების შემართებით და, რასაკვირველია, სააღრიცხვო დოკუმენტების თანახმად, 1986 წლის დეკემბერში აქ დიდი რთველი და სიმინდის ტეხვა ყოფილა გაჩაღებული. სასწაულია? არა, ჩვეულებრივი მოვლენაა, თორემ, ალბათ, ისიც სასწაულად უნდა მივიჩნიოთ, 3 დეკემბერს როგორ გასცეს საწყობიდან უკვე 5 დღით ადრე დარგული ხახვის ჭილი.

დიახ, ბევრი ასეთი „სასწაული“ ხდება სოფელ კიროვში და მისი შემოქმედნი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, საფინანსო დარგის მუშაკები არიან თავმჯდომარის გ. ვამაყმაძის წინამძღოლობით.

ზემოთ შრომისმოყვარეობა ვახსენეთ და ვიმეორებთ, რომ კოლმეურნეთა უმრავლესობას უქნარობაში ცილს ვერ დავწამებთ, მაგრამ ვერც იმაზე დავხუჭავთ თვალს, რომ 49 შრომისუნარიან კოლმეურნეს, ანუ კოლწევრთა მეხუთედზე მეტს, არ გამოუმუშავებია შრომის სავალდებულო მინიმუმი.

განა საკოლმეურნეო შრომის არასწორი ორგანიზაციის, მომთხოვნელობისა და საშემსრულებლო დისციპლინის შესუსტების შედეგი არ იყო, რომ 1986 წ. სავეგეგმოზე ბევრად ნაკლები სოია, ყურძენი, დაფნა და ხორცი აწარმოეს. 80 ათასი მანეთის მოგებას ვარაუდობდნენ და სამეურნეო წელი 63 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრეს, რენტაბელობის 29 პროცენტამდე ზრდას ითვალისწინებდნენ და 15 პროცენტით კი შეამცირეს.

დღეს, როცა მთელი ქვეყანა დაკისრებული მოვალეობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე ლაპარაკობს, სახალხო მეურნეობის ყოველ უბანზე საქმიანობის ძირეულ გარდაქმნების სულისკვეთებით იღვწის, სოფელ კიროვის კოლმეურნეობის ყოველდღიურობაში რატომღაც არ იგრძნობა სასიკეთო შემობრუნებისაკენ სწრაფვა;

თავად განსაჯეთ, რომელ გარდაქმნაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი მთავარი ბუღალტრის ა. სანიკიძისა და მთავარი ეკონომისტის ვ. ტოფაძის დანაშაულებრივი გულგრილობისა და კოლმეურნეობის გამგეობის მხრივ სრული უკონტროლობის შედეგად სისტემატურად ირღვევა კოლმეურნეთა ხელფასებისა და პრემიების ანაზღაურების, სალაროს ოპერაციების წარმოების წესი და რიგი.

ფულთან, ისევე როგორც ცეცხლთან, თამაში არ შეიძლება, მაგრამ, როგორც ეტყობა, აქ „უსაფრთხოების ტექნიკას“ ისე არიან დაუფლებული, რომ არად დაგიდევენ არც უწყისებში ჯამის ხელოვნურ ზრდას, სალაროს წიგნებში ციფრების გადასწორებას, ერთი და იგივე პირებზე ხელფასის განმეორებით გაცემას, საქვეანგარიშო თანხების ხარჯვის წესების უგულებელყოფასა და სხვა მრავალ ასეთს.

აი, თუნდაც, ერთი მაგალითი. კოლმეურნე ზ. ნიჟარაძეს ხახვის ჭილის შესაძენად ხელზე ისე მისცეს 1067 მანეთი, არც უკითხავთ, იმსახურებდა თუ არა ეს კაცი ასეთ ნდობას. ახლა ეს „სანდო კაცი“ დაპატიმრებულია, მის მიერ ჩაჯიბულმა ფულმა კი, ალბათ, ჩაილურის წყალი დალია.

უკვე ვახსენეთ გეგმის შეუსრულებლობის ამბავი, აბა, გეგმას როგორ შეასრულებ, თუ მოწეულ ჰირნახულს სათანადოდ არ აღრიცხავ და დატაცების ხელშემწყობ პირობებს არ აღკვეთავ. მაგალითად, პირველ ბრიგადაში რატომღაც შემოსავალში გატარებული არ იყო 1986 წ. მოწეული 1520 მანეთის 2816 კილოგრამი ყურძენი, მე-3 ბრიგადაში 3305 კილოგრამი ყურძენი, 1220 კილოგრამი პამიდორი და 1706 კილოგრამი სიმინდი, მე-4 ბრიგადაში კი 600 კილოგრამი ხახვი და ერთ ტონამდე სიმინდი (?!).

ან კიდევ, 43 კოლმეურნეს გაუპიროვნეს 2,7 ჰექტარი პამიდვრის ნათესი, საიდანაც 360 ცენტნერ მოსავალს ელოდნენ, ფაქტობრივად კი არც ერთი კილოგრამი არ მოუწევიათ. პამიდვრის ნარგავების მოვლაზე კი 350 მანეთი დახარჯეს.

ახლა ყაირათიანობა, მომჭირნეობა ლიტონი ცნებები კი არა, ყველგან და ყველაფერში მეურნეობის თავკაცთა, შესაბამისი სამსახურების ყოველდღიური საზრუნავი უნდა იყოს, ამ კოლმეურნეობაში კი პირიქით იქცევიან. კოლმეურნეობის ხარჯზე ხელგაშლილობა მთავარ ეკონომისტს ვ. ტოფაძეს, ალბათ, პირად ღირსებად მიაჩნია. სწორედ ასე გაიცა 1986 წელს ხახვის მოსავლის მიღებისათვის პრემიის სახით ზედმეტი 2039 მანეთი, დაახლოებით იგივე თანხა გასცეს ზედმეტად ხელფასის სახით საგზაო სამუშაოების შესრულებისათვის, ასევე ზედმეტად, ხელფასთან ერთად 112 მანეთი და 96 კაპიკი გადაუხადეს სატვირთო ავტომანქანის მძღოლს მანქანის შეკეთებისათვის.

კოლმეურნეობაში პენსიების გაზრდის დიდებული საშუალებაც გამონახეს. ხალხს რატომ ვაწყენინოთო, და პენსიების გაანგარიშების დროს ხელოვნურად ამცირებენ გაპიროვნებულ ფართობებსა და ამ გზით ზრდიან საშუალო ჰექტარობრივ მოსავლიანობას. უხვი მოსავლის მოწევისათვის კი პრემიაც მეტია და, აქედან გამომდინარე პენსიაც.

ახლა, მოგეხსენებათ, საქართველოში საზამთროს ბუმია. ფულს დახარბებულებმა ზოგან ვენახებიც კი გაკაფეს და საზამთრო გააშენეს. ამ თანამედროვე სენს ვერც კიროველები გადაურჩნენ. მაგრამ „ტრადიციას“ ვერ უღალატეს და... გაითვალისწინეს რა „საზამთრომანიის“ მავნე რეციდივები, პარტიის რაიკომმა, აგროსამრეწველო გაერთიანებამ საგანგებოდ გააფრთხილეს მეურნეობათა ხელმძღვანელები, რომ საზამთროს მოვლა-პატრონობა მხოლოდ მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეებისათვის მიენდოთ. ბევრგან სწორედ ასე მოიქცნენ, მაგრამ კიროვის კოლმეურნეობაში მაინც პირიქით გააკეთეს. 4 ჰექტარზე დათესილი საზამთრო კოლმეურნე ა. სანიკიძეს გაუპიროვნეს, ფაქტობრივად კი ნათესს სოფელ უხუთის კოლმეურნეობის საწყობის გამგე ს. ხურციძე, იმერუხუთის მაღაზიის გამგე-გამყიდველი ვ. ბაჯაძე და უხუთის კოლმეურნეობის ქვის სახერხის მუშა ო. ოქროპირაშვილი უვლიდნენ.

თუ გაირჯები და მოუვლი, მოსავალიც გაგიმართლებს. ამბობენ, იმ სამეულს შრომა არ დაუშურებია, რომ საზამთრო დაეხვავებინა, მაგრამ რამდენს იწონიდა ეს ხვავი, კოლმეურნეობაში კაცმა არ იცის. გამგეობის 1987 წლის 28 ივლისის სხდომის ოქმის მიხედვით, საზამთროს კრეფა იმ დღეს დაუწყიათ. გამგეობას პროდუქციის რეალიზაციისათვის პასუხისმგებლობა ვ. ბაჯაძისათვის დაუკისრებია და თავად „ხელი დაუბანია“.

ის, თუ 28 ივლისიდან 20 აგვისტომდე რამდენი საზამთრო დაიკრიფა, სად და როგორ გაიყიდა, არსად არ არის აღრიცხული, მხოლოდ 21 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე გამოიწერა 6 ფაქტურა, მაგრამ ისიც არ არის ბუღალტერიაში რეგისტრირებული. 25 სექტემბრამდე კი კოლმეურნეობის სალაროში კაპიკი არ შესულა. „სამეულთან“ კი არა, ა. სანიკიძესთან დადებული ხელშეკრულება 60 ტონა საზამთროს მოყვანას ითვალისწინებდა, ახლა კი ირკვევა, რომ მხოლოდ და მხოლოდ 27,5 ტონა მოუწევიათ. ტყუილია ეს თუ მართალი, არავინ უწყის. ფაქტი ის არის, მხოლოდ სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმების შემდეგ შევიდა კოლმეურნეობის სალაროში საზამთროს ღირებულების ნაწილი — 5400 მანეთი.

თუ ვინ და როგორ მოითბო ხელი ყოველივე ამით, ამაზე ვერაფერს ვერც კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის წევრები ამბობენ და ვერც იქაური სახალხო კონტროლიორები.

სამაგიეროდ ხალხი, პატიოსანი მშრომელები ლაპარაკობდნენ და პარტიის რაიკომს თუ სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტსაც აცნობეს თავიანთი გულისწყრომის მიზეზები.

სწორედ სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა გამოავლინა ის დანაშაულებრივი დარღვევა-ნაკლოვანებები, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ, და მანვე მიუზღო საკადრისი კონკრეტულად დამნაშავე პირებს: კომიტეტის დადგენილებით თანამდებობებიდან გადაყენებული არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ვამაყმაძე, მთავარი ბუღალტერი ა. სანიკიძე, მთავარი ეკონომისტი ვ. ტოფაძე. სასტიკი საყვედური გამოეცხადა მთავარ აგრონომს გ. მიქელაძეს (ის აქ ახალი კაცია), ასეთივე სასჯელი დაედოთ და ფულადი დარიცხვა დაეკისრათ ფერმის გამგეს ბ. ერისთავსა და საწყობის გამგეს ლ. ლომაშვილს. დაისაჯნენ სხვა პასუხისმგებელი პირებიც. შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა რაიონის პროკურატურას.

ვ. სიმონიშვილი.

ქმედითობა

მკაცრად დაისაჯნენ

ჩვენი გაზეთის 1987 წლის 8 დეკემბრის ნომრის სპეციალურ გვერდში „ხალხის ფხიზელი თვალი“ დაიბეჭდა წერილი „რატომ არ ჩქარობდნენ?“, რომელიც ზამთრის პერიოდში შეუფერხებელი მუშაობისათვის ახალციხის საწარმოებისა და ორგანიზაციების სამზადისს შეეხებოდა. ამ საკითხზე სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ორი პასუხი მიიღო, რომელშიც იტყობინებიან:

შ. შანიძე — საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი:

ახალციხის რაიონში ზამთრის პერიოდისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მზადების შემოწმების შედეგები განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ და მიიღო შესაბამისი დადგენილება გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ამასთან საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ შემოწმების შედეგად შემოდგომა-ზამთრის სეზონის მზადების საქმეში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და სხვა დარღვევებისათვის თანამდებობიდან გაათავისუფლა პამაჯის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ოგანესიანი და აგარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გ. ხედგინიძე, სასტიკი საყვედური გამოეცხადა სოფელ ურავლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. კაპანაძეს.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების ძირითადი ნაწილი აღმოფხვრილია.

ჯ. მაკარიძე — ახალციხის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე:

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დავალებით განიხილა იმ თანამდებობის პირთა მიერ მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხი, რომელთა მხრივ ზამთრისათვის მზადების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ გამოიწვია ეს ზარალი.

კომიტეტის დადგენილებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით თითო თვის ხელფასის შესაბამისი თანხა დაერიცხათ ახალციხის საკონსერვო ქარხნის მთავარ ინჟინერს თ. ზაზაძეს, ურავლისა და მუსხის კოლმეურნეობების მთავარ ინჟინრებს კ. ასპანიძესა და რ. ჟუჟუნაძეს, ხორცკომბინატის მთავარ ენერგეტიკოსს ა. საამაძესა და ადგილმრეწველობის სარაიონთაშორისო საწარმოს მთავარ ინჟინერს ვ. ბალდოშვილს.

სახალხო კონტროლი მოქმედებს

თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის“ საწარმოთა შორის თბილისის საქსოვი ფაბრიკა ერთ-ერთი პირველი გადავიდა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. შარშან, თერთმეტ თვეში ფაბრიკამ გამოუშვა მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, დაიზოგა 1822 კილოგრამი ნედლეული, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი.

ამ მიღწევებში დიდი წვლილი შეიტანეს ფაბრიკის სახალხო კონტროლიორებმა. მეურნეობრიობის ახალ პირობებში ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხს, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა პროდუქციაზე არ მიიღონ რეკლამაციები.

სურათზე: სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ლოლუა, სახალხო კონტროლიორები ნოდარ ჯოხაძე, მანანა იორამაშვილი და ასმათ აფციაური მორიგი რეიდის დროს.

ვ. ტერეშჩენკოს ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს მრავალსახოვანი ბიუროკრატიზმი

განა სახლს პატრონი არა ჰყავს?!

იშვიათი როდია, როცა მოქალაქენი ცუდი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გამო განცხადებებით თუ საჩივრებით მოგვმართავენ. ზოგს უწყლობა აწუხებს ან ელექტროდენის ხშირი გამორთვა, გაზის შეფერხებით მიწოდებაზეც ჩივიან და ლიფტის გაუმართავ მუშაობაზეც, ზამთარი დადგა და გათბობის მოუწესრიგებლობაზე მომრავლდა სიგნალები. მაგრამ ასეთ ხარვეზებს ერთ სახლში რომ მოეყაროს თავი, თითქმის არ შეგვხვედრია. სწორედ ამიტომაც ცოტა გაზვიადებული მოგვეჩვენა ის საჩივარი, რომლითაც საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხნის საერთო საცხოვრებლის მობინადრეთა ერთმა ჯგუფმა სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ კომიტეტს მიმართა. განმცხადებლები თავიანთ აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ სახლში არ ჰქონდათ სინათლე, გათბობა, ცხელი წყალი, არ მუშაობდა ლიფტი, გამეფებული იყო ანტისანიტარია და სხვ.

მაგრამ ეჭვი უმალ გაგვეფანტა, როგორც კი ეს სახლი მოვინახულეთ.

ცხრასართულიანი საერთო საცხოვრებელი, რომელიც ავჭალაში, ულიანოვის ქუჩაზე მდებარეობს, 1986 წლის აგვისტოდან ითვლება ქარხნის ბალანსზე და მასში როგორც თვით ქარხნის, ისე თბილმრეწვმშენის № 3 ტრესტის მუშები ცხოვრობენ.

1987 წლის აპრილში გაფუჭდა ტრესტის კუთვნილი ქვესადგური და კაბელიც, რომლითაც სახლს ელექტროენერგიას აწვდიდნენ. 126 ოჯახი უსინათლოდ დარჩა. შეუძლებელი გახდა საჭმლის დამზადებაც, რადგან ბინებში ელექტროღუმლები დგას და არა გაზქურები.

ქარხნის ადმინისტრაციამ არაფერი იღონა შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად. იმის ნაცვლად, რომ ოპერატიული ღონისძიებები გაეტარებინათ დაზიანებათა აღსაკვეთად და სახლისათვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად, იოლ ხერხს მიმართეს, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა უხეში დარღვევით მობინადრეებს ნება დართეს ან გადასატანი გაზქურები გამოეყენებინათ, ან სხვა სახლებიდან თუ ორგანიზაციებიდან გადმოყვანილი ელექტროხაზებით ესარგებლათ.

ასე გაგრძელდა 4 თვეს. აბა, წარმოიდგინეთ, რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ ის ოჯახები, სადაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ (აქ კი უმრავლესად ასეთი ოჯახები ცხოვრობენ).

რატომღაც გარეშე მეთვალყურის პოზიცია დაიკავა თბილმრეწვმშენის № 3 ტრესტის ხელმძღვანელობამ. ამ დროს კი სახლში მცხოვრებთა ნახევარზე მეტი ამ ტრესტის მუშები არიან. ტრესტის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო ქვესადგურში პროფილაქტიკური სამუშაოების დროულად დამთავრება.

მთელ სახლში წვიმა ჩამოდის, დერეფნებში ჭერი და კედლები ჩამონგრეულ-ჩამორეცხილია, ელექტროსადენები გაშიშვლებულია, სადარბაზო უკაროა, კიბის უჯრედები — შეუმინავი, სანაგვეები — გაჭედილი. ირგვლივ ანტისანიტარიაა. სანეპიდსადგურის არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ქარხნის ხელმძღვანელობას არაფერი არ უღონია. იმის გამო, რომ მომსახურე პერსონალით ვერ დააკომპლექტეს, შვიდ თვეზე მეტია არ მუშაობს ტექნიკურად გამართული ლიფტი.

ახლა ზამთარია, მაგრამ თავის დროზე მის შესახვედრად არაფერი გაკეთებულა. საქვაბეში ექვსი ქვაბიდან სამი დაშლილ-დანგრეულია, მოუწესრიგებელია ელექტრომეურნეობა, ამიტომ ცხელ წყალს ვიღა ჩივის, სითბოსაც მონატრებული არიან.

აქაურ მობინადრეთა ჯგუფმა სწორედ ამიტომ მიმართა სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ კომიტეტს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის გლდანის რაიკომის თხოვნით შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის მას გადაეცა.

ვფიქრობთ, ახლა მაინც ეშველებათ საერთო საცხოვრებლის მობინადრეთ.

გ. გერაძე,
გ. ჭანტურიძე,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის საჩივრებისა და წინადადებების ბიუროს რეფერენტები.

სახლი — თოვლის ბაბა.

ბ. ლომიძის ნახატი.

გამოცდილება

რას გვასწავლის გროდნოელთა მაგალითი

ბელორუსიელი სახალხო კონტროლიორები საბინაო პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობენ

იმ პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის, რომელთა მიხედვითაც სახალხო კონტროლის ორგანოებმა 1990 წლამდე უნდა იმუშაონ, წინა პლანზეა წამოწეული საბინაო პრობლემების გადაწყვეტის დაჩქარების, 2000 წლისათვის პრაქტიკულად ყოველი ოჯახის ცალკე ბინით ან ინდივიდუალური სახლით უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სახლთმშენებლობის საწარმოო ბაზის განვითარებისა და უფრო სრული გამოყენებისათვის გაწეულ მუშაობაზე სისტემატური კონტროლის დაწესება.

მართალია, ამ მიმართულებით, ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქუთაისში გარკვეული მუშაობაა გაწეული, მაგრამ გასაკეთებელი, გარდასაქმნელი, დასაჩქარებელი უფრო მეტი გვაქვს, და ამაზე სამართლიანად მიგვითითა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, როცა იმსჯელა საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და ჩაბარების გეგმების შესრულებისადმი კონტროლის განსახორციელებლად ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

საბინაო მშენებლობის სწორ ორგანიზაციაში ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში დიდი გამოცდილება შეიძინეს და სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ გამოცდილების გასაზიარებლად ჩვენი ქალაქის სახალხო კონტროლის ორგანოებისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის წარმომადგენელთა ერთი ჯგუფის გაგზავნა ბელორუსიაში, ქალაქ გროდნოში.

ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა და იმ გარემოებამ განაპირობა, რომ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა მოიწონა საბინაო პრობლემებისა და სხვა სოციალური საკითხების გადაწყვეტაში ამ ქალაქის სახალხო კონტროლის ორგანოების გამოცდილება.

ქ. გროდნო საოლქო ცენტრია. აქ 260 ათასი კაცი ცხოვრობს, დაყოფილია ორ რაიონად, მსხვილი სამრეწველო ქალაქია. მძლავრად არის განვითარებული მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, მსუბუქი და ქიმიური მრეწველობა, ელექტრონული აპარატურის წარმოება და სხვა.

ქალაქის თავისებურებაა მსხვილი სამრეწველო კვანძების ფორმირება მათთან მიმდებარე საცხოვრებელი რაიონებით.

ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის თანახმად, რომელიც 1973 წელს არის დამტკიცებული, შენარჩუნებულია ქუჩათა საუკუნოვანი დაგეგმარების სტრუქტურა და ბუნებრივი ლანდშაფტი. მისი ისტორიული ნაწილი გამოცხადებულია ნაკრძალად; აქ მაღლივი სახლები არ შენდება. ბოლო წლებში შესამური რუდუნებით მიმდინარეობს ძველი სახლების აღდგენა-რეკონსტრუქცია და ისინი იძენენ პირვანდელ გამომსახველობით სახეს კომუნალური სრულყოფის თანამედროვე დონით.

გროდნოში ბინით დაკმაყოფილების მთხოვნელთა რიგში 21 ათასი ოჯახია. შემუშავებული აქვთ საბინაო პრობლემის გადაწყვეტის 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის პროგრამა თითოეული ორგანიზაციის, რაიონისა და თვით ქალაქის მასშტაბით.

გეგმის მიხედვით წლეულს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 196 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებით შენდება 88 ათასი კვადრატული მეტრი, კოოპერაციული ბინათმშენებლობის ხაზით — 87,2 ათასი, სამეურნეო წესით—20,8 ათასი კვადრატული მეტრი. იმასთან დაკავშირებით, რომ წარმატებით ასრულებენ ბინათმშენებლობის გეგმებს, ივალდებულეს კიდევ გეგმის გადამეტებით 10 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ჩაბარება.

გროდნოში მაღალ დონეზეა საბინაო მშენებლობის ორგანიზაცია. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში წარმატებით სრულდება სახელმწიფო გეგმები, ეწყობა გაბედული ექსპერიმენტები, დანერგილი აქვთ მუშაობის საინტერესო და სასარგებლო ფორმები.

პირველი და უმთავრესი, რამაც ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, არის საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელების განსაკუთრებული დაინტერესება მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პრობლემის გაუმჯობესების საკითხებით. ამის თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ ბინათმშენებლობისათვის შესაბამისი ლიმიტების მოწიდვა კი არ არის პრობლემა, არამედ სამშენებლო სიმძლავრეები.

აღსანიშნავია კოოპერაციული ბინათმშენებლობის დიდი ხვედრითი წილი. 206 ათასი კვადრატული მეტრი საერთო საცხოვრებელი ფართობიდან, რომელსაც წლეულს აბარებენ, კოოპერაციული ბინათმშენებლობის ხაზით შენდება 87,2 ათასი კვადრატული მეტრი.

გროდნოში **სამეურნეო წესით** მშენებლობის კარგი ტრადიციებია. სამეურნეო წესით აშენებენ როგორც საცხოვრებელ სახლებს, ასევე სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებს.

მაგალითად, მუხლა ლილვის ქარხანა სამეურნეო წესით მშენებლობას (თავიდან ბოლომდე) აწარმოებს 25-კაციანი ბრიგადით. უკვე ააშენეს ოთხი 40-ბინიანი სახლი. ამასთან, აღმასკომი უფლებას არ აძლევს ააშენონ მხოლოდ საცხოვრებელი სახლები. ჩვენ ვნახეთ ეს მიკრორაიონი, სადაც ამავე 25-კაციანმა ბრიგადამ შარშან ააშენა მაღაზია, შენდება და წლეულს ჩააბარებენ აფთიაქს. ყოველწლიურად ეს ქარხანა წილობრივი წესით 18 — 20 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს აშენებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შარშან სამეურნეო წესით საექსპლუატაციოდ გადასცეს 2 სახლი 2559 კვადრატული მეტრი ფართობით.

საშენ მასალათა კომბინატს, რომელიც აგრეთვე, წილობრივი სახსრებითაც აშენებს ბინებს, აღმასკომის გადაწყვეტილებით გამოეყო 35 ჰექტარი ფართობი ქალაქის ტიპის დასახლების სამეურნეო წესით მშენებლობისათვის.

ცალკე უნდა გამოვყოთ სატვირთო ავტოსატრანსპორტო კომბინატი.

ავტოკოლონაში ჰყავთ 12-კაციანი სამშენებლო ბრიგადა, რომელიც სამეურნეო წესით მუშაობს. მას ეხმარება ავტოგაერთიანების ასევე 12-კაციანი სამშენებლო ბრიგადა.

ყოველწლიურად მშენებლობაზე ითვისებენ 250-300 ათას მანეთს, წლეულს აითვისებენ 600 ათას მანეთს.

ასეთი ძალებითა და საშუალებებით სამეურნეო წესით ააგეს ადმინისტრაციული შენობა, თანამედროვე ტიპის სპორტული დარბაზი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებით, პირველ სართულზე ტირით, პოლიკლინიკა თანამედროვე აღჭურვილობით, 400-ადგილიანი სააქტო დარბაზი, მუშათა სასადილო, საჩაიე, დახურული საცურაო აუზი, მოაწყვეს სათბური, დამხმარე მეურნეობა, ამთავრებენ 40-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

აქ დანერგილი აქვთ ასეთი პრაქტიკა: როგორც კი ააშენებენ საცხოვრებელი სახლის კარკასს და გადახურავენ, ბინებს წინასწარ ანაწილებენ, მომავალი მობინადრეები მუშაობენ მოპირკეთების სამუშაოების შესრულებაზე შესაბამისი ანაზღაურებით.

ქ. გროდნოში დიდი ხანია ტრადიციად აქვთ ასეთი წესი. საცხოვრებელი სახლი ნაწილდება ჩაბარებამდე 3 თვით ადრე, სიები თვალსაჩინო ადგილებზეა გამოკრული. თითოეული მომავალი მობინადრე ვალდებულია სახლის მშენებლობაზე იმუშაოს 50 კაცსაათი და ორდერს მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს.

ბოლო წლებში გროდნოში ჩამოყალიბდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მყარი სისტემა ამ მიზნით, გამოყოფილია 26 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ინდივიდუალური ბინათმშენებლები უზრუნველყოფილი არიან პროექტით, სამშენებლო მასალითა და კონსტრუქციებით. 10-მდე სპეციალიზირებულ და არასპეციალიზირებულ მაღაზიაში მომხმარებელს შეუძლია 10-15 წუთში შეუკვეთოს სასურველი საშენი მასალა და მითითებული დროისათვის მაღაზია ამ მასალებს ცენტრალიზებული წესით შეუზიდავს კლიენტს სამშენებლო მოედანზე. მაღაზიებს სამშენებლო მასალებით ძირითადად ადგილობრივი საწარმოები ამარაგებენ, როგორც მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, ასევე გეგმიურთან შედარებით გადაჭარბებით გამოშვებული პროდუქციის ხარჯზე.

საბინაო მშენებლობას გროდნოში და მის ოლქში ძირითადად აწარმოებს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს 3 მსხვილი ორგანიზაცია — სახლთსაშენებელი კომბინატი, სამშენებლო ტრესტი და გროდნომრეწვმშენი. საბინაო მშენებლობა თავმოყრილია ერთიანი დამკვეთის, კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ხელში (გარდა სამეურნეო წესით და ინდბინათმშენებლობისა).

გროდნოს სახლთსაშენებელი კომბინატის სიმძლავრე, რომელიც ოლქის მხოლოდ 3 ქალაქში აშენებს, სულ ორიოდე წლის წინ 140 ათასი კვადრატული მეტრი იყო. ამჟამად, იგი 30 ათასი კვ. მეტრითაა გაზრდილი. საბინაო პრობლემის გადაწყვეტის დასახული პროგრამიდან გამომდინარე ინტენსიური მუშაობა წარმოებს, რათა ხუთწლედის ბოლოსთვის მისი სიმძლავრე 250 ათას კვადრატულ მეტრამდე გაზარდონ. კომბინატი მოწინავეა რესპუბლიკაში. მისი ასეთი პოზიციები მთლიანად დაფუძნებულია შრომის ორგანიზაციის მაღალ დონესა და მატერიალურ-მორალური წახალისების ეფექტიან ფორმებზე.

მატერიალური წახალისების ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმის შესახებ: გროდნოს საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მშენებლებს ტრადიციული 10 პროცენტის გარდა ეძლევათ ზეგეგმით გადაცემული საცხოვრებელი ფართობის 50 პროცენტი და 10 პროცენტი კოოპერატიულ ბინათმშენებლობიდან (დაწესებული შესატანის გადახდით).

ქ. გროდნოში საბინაო პრობლემების გადაწყვეტის საქმეში აქტიურად არიან ჩართული სახალხო კონტროლის ორგანოები.

სახალხო კონტროლის საოლქო კომიტეტმა, მისმა დადგენილებებმა და ზემოქმედების ფორმებმა აქტიური როლი შეასრულა საშენ მასალათა მრეწველობის შემდგომ განვითარებაში. აქ კვარტალში ერთხელ ამოწმებენ მშენებლობის ხარისხს. ყურადღებას იპყრობს საჯაროობის ფორმები, კარგად აქვთ დაყენებული მიღებული დადგენილებების შესრულების ორგანიზაცია.

გროდნოელთა გამოცდილების გამოყენებით სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში შევიმუშავეთ წინადადება ქუთაისისთვის მისაღები მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დანერგვის შესახებ და პარტიის საქალაქო კომიტეტში შევიტანეთ. სწორედ მის საფუძველზე პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით ქ. ქუთაისში 2000 წლისათვის საბინაო პრობლემის გადაჭრის უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. მათი განხორციელება ქუთაისელ სახალხო კონტროლიორთა მუდმივი საზრუნავი იქნება.

თ. ხითარიშვილი,
ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

გორელთა ახალი სპექტაკლი

ახალი წლის დღეებში გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალგაზრდა დრამატურგის ირაკლი ლომოურის ერთმოქმედებიანი პიესა „რა ურჩევნია მამულსა?“

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ალექსი ჯაყელი, მასვე ეკუთვნის მუსიკალური გაფორმება, მხატვარია ვახტანგ ვისოცკი, მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები კახა ბერიძე, ოთარ ქუთათელაძე, ჯემალ ხინჩიკაშვილი, ქიშვარდ მანველოვი.

პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

▲ ▲

ოჯახზე და ოჯახისათვის

გამოვიდა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდის გამოცემის ახალი ყოველკვირეულის „სემია“ პირველი ნომერი. საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა ყოველკვირეულის მთავარ რედაქტორს მწერალ სერგი აბრამოვს ემბნა, თუ როგორი იქნება ახალი გამოცემა.

— ჩვენ ძალზე დიდი ხნის მანძილზე და ძალზე თანამიმდევრულად — ყველა ერთად — ვსპობდით თვით „ოჯახის“ ცნებას: საკუთარ თავში და ჩვენ ირგვლივ. მსუბუქი, ხანმოკლე, არაფრის დამავალდებულებელი ქორწინებანი, მეუღლეების ნაჩქარევი და მოუფიქრებელი გაყრა, ქალების მიერ თანასწორობის ისეთი თავგამოდებით და ინტენსიურად ძებნა ოჯახში, საზოგადოებაში, სამსახურში — ყველგან, რომ სახლისათვის, ოჯახისათვის დრო აღარ რჩებოდათ. არც მამაკაცებზე ითქმის უკეთესი. ასეთ შემთხვევაში განა უნდა გვაკვირვებდეს დანგრეული ოჯახების, სამშობიარო სახლებში დატოვებული ბავშვების რაოდენობა, რომლებიც იზრდებიან ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში, მაშინ როცა ცოცხალი მშობლები ჰყავთ. არასრული ოჯახების უდიდესი რაოდენობა... მიმართეთ ციფრებს: ისინი თავზარს გცემს!

მხოლოდ ადამიანებს, მხოლოდ ხალხს შეუძლია შეცვალოს რაიმე ან ყველაფერი თავის ბედში. და სწორედ აქ უნდა დაეხმაროს მათ ლიტერატურა, ხელოვნება, ჟურნალისტიკა: მიაპყროს მათი ყურადღება, აიძულოს ჩაუფიქრდნენ, დაეხმაროს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმაში. ამას ისახავს მიზნად ჩვენი ყოველკვირეულიც.

რედაქცია ელის მკითხველისაგან წერილებს, რჩევა-დარიგებებს, წინადადებებს, ნაამბობს კონკრეტულ ბედზე, კონკრეტულ პრობლემებზე, საზრუნავზე, საქმეებზე, ყოველ ნომერში გამოვაქვეყნებთ მკითხველთა წერილებს. ყოველ ნომერში იქნება ნარკვევები, სტატიები, რეპორტაჟები, — მწვავე, პრობლემური, პირუთვნელი...

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების მ. გორგილაძის, დ. გერგიშვილის, ი. გობეჩიას, გ. ვაშაკიძის, საქდესის და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ვ. მარდალეიშვილმა.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
7 იანვარი

ამერიკა არჩევნების წინ

რა ღირს საარჩევნო კამპანია?

ვაშინგტონი. რა დაუჯდებათ ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს საარჩევნო კამპანია და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც მიმდინარე წლის ნოემბერში გაიმართება? ფედერალური კომისიის გამოანგარიშებით, — გვარიანი თანხა — 176 მილიონი დოლარი. როგორც ვარაუდობენ, სწორედ ამდენს გამოყოფს სახელმწიფო ხაზინა საპრეზიდენტო წლევანდელი მარულის მოწყობისათვის.

კომისიის თანამშრომელთა შეფასებით, ფინანსთა სამინისტრო რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიებისაგან პრეზიდენტობის კანდიდატთა 13 პრეტენდენტს გადაუხდის 64,4 მილიონ დოლარს, 9-9 მილიონს მისცემს ორივე პარტიას ზაფხულის დამლევს თავიანთი ეროვნული ყრილობების გასამართავად, და 93,5 მილიონ დოლარს გამოუყოფს ოფიციალურ კანდიდატებს, რომლებსაც ამ ყრილობაზე დაასახელებენ.

საარჩევნო კამპანიების დაფინანსების ახლანდელი სისტემა შეერთებულ შტატებში 1976 წლიდან მოქმედებს. მან ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ტრადიციულ კერძო დაფინანსებასთან ერთად შემოიღო ეგრეთ წოდებული „საზოგადოებრივი“ დაფინანსებაც: გადასახადის სახით შესატანი თანხიდან ყოველი ამერიკელი გამოყოფს 1 დოლარს საარჩევნო კამპანიების მოსაწყობად. დადგენილი წესების თანახმად, პრეტენდენტს შეუძლია იმედი იქონიოს, რომ მიიღებს სახსრებს სახელმწიფო ხაზინიდან, თუ გარკვეული დროისათვის კერძო შეწირულობათა სახით შეაგროვებს სულ ცოტა 100 ათას დოლარს. ამასთან პრეტენდენტი უნდა წარმომადგენლობდეს ერთ-ორ უდიდეს ბურჟუაზიულ პარტიათაგანს — დემოკრატიულს ან რესპუბლიკურს. სხვა პარტიების წევრებზე კანონის მოქმედება არ ვრცელდება. ამრიგად, ისეთ პირობებში, როდესაც არჩევნებში გამარჯვება მთლიანად კანდიდატის ფინანსური მხარდამჭერის ოდენობაზეა დამოკიდებული, მოცემული სისტემა საბოლოო ანგარიშით, განამტკიცებს მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელთა პოზიციებს.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, ფინანსთა სამინისტრომ უკვე გაუგზავნა პირველი ჩეკები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატთა პრეტენდენტებს.

◆ ნიკარაგუა

არღვევენ გვატემალის მორიგებებს

მანაგუა. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ლუის კარიონმა აქ განაცხადა, რომ ნიკარაგუა მზად არის ნებისმიერ მომენტში მიიღოს გვატემალის შეთანხმებათა შესრულების ფარგლებში სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების შემმოწმებელი საერთაშორისო კომისია.

შემოწმებისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის წევრებთან შეხვედრის შემდეგ გამოსვლისას მან თქვა, რომ ნიკარაგუამ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი, მაშინ, როცა სხვა ქვეყნები არღვევენ გვატემალის მორიგებებს. შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ, ისინი კვლავ უწევენ დახმარებას კონტრრევოლუციონერთა ბანდებს, უთმობენ თავიანთ ტერიტორიებს ნიკარაგუის წინააღმდეგ აგრესიული აქციების განსახორციელებლად, ხელს უწყობენ სამხედრო ბანაკების არსებობასა და ძირგამომთხრელი რადიოსადგურების საქმიანობას.

ფოტოფაქტი



ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქის მრავალ ათასთაგან ერთ-ერთი უსახლკარო.

საქდესის ფოტო.

გამოგონება

უჩვეულო კონსტრუქციის თვითმფრინავი

სან-ფრანცისკო. როგორია ავიამგზავრთა გადარჩენის შანსი, თუ 5 ან 10 კილომეტრის სიმაღლეზე თვითმფრინავში გაჩნდა ხანძარი, მოიშალა მართვის სისტემა ან მოხდა სხვა რამ, რასაც შეიძლება ტრაგიკული შედეგი მოჰყვეს? მთელი 100 პროცენტი, მიაჩნია ამერიკელ მფრინავსა და გამომგონებელს პიტერ დაიმონდს.

ამას წინათ მან დააპატენტა თვითმფრინავის პროექტი, რომელშიც მგზავრთა სალონი გამოყოფილია... თვითმფრინავისაგან. სალონი გარეგნულად ჰგავს საქალაქთაშორისო ვაგონს, რომელიც დამაგრებულია ჩვეულებრივი ლაინერის შიგნით. კატასტროფის რეალური საფრთხის შემთხვევაში სალონი მყისიერად გამოეყოფა ფიუზელაჟის მზიდ ნაწილს, და რბილად ეშვება მიწაზე ან წყალზე პარაშუტების მეშვეობით. უჩვეულო გამოგონებით დაინტერესდა ბევრი ავიასაშენებელი კომპანია. პიტერ დაიმონდი ახლა 71 წლისაა. მფრინავის პირველი მოწმობა 16 წლისამ მიიღო.

შემთხვევა

ტრაგედია დისკოთეკაში

ტოკიო. ტრაგიკულად დამთავრდა იაპონიის დედაქალაქის ცენტრში როპონგის უბანში არსებული „ტურიას“ პოპულარულ დისკოთეკაში მოწყობილი საცეკვაო პროგრამა, რომლის დროს დაიღუპა სამი კაცი და დაიჭრა 14. დისკოთეკაში გვიან საღამომდე დაახლოებით 200 კაცი იყო, როცა მოულოდნელად მოცეკვავეებს 10 მეტრი სიმაღლიდან დაეცა 5,5 მეტრი დიამეტრისა და ორი ტონა წონის ჭაღი. „ტურია“, რომელიც ერთი წლის წინათ გაიხსნა, ძალზე პოპულარული გახდა ახალგაზრდა ტოკიოელებს შორის მუსიკის მაღალხარისხოვანი ჟღერადობისა და... შუქგაფორმების გამო.

ტელეტაიპის ლენტიდან

◎ **სოფია.** „მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის“ — ასეთია ბულგარეთის დედაქალაქში გახსნილი პოლიტიკური პლაკატის საერთაშორისო გამოფენა-კონკურსის თემა. მოსკოვის, პრაღის, ბრატისლავის, ვარშავის შემდეგ მრავალი ქვეყნის მხატვართა ამ ტრადიციული კონკურსის ესტაფეტა მიიღო სოფიამ. ექსპოზიციაში, რომელიც გაიხსნა ეროვნული გალერეის დარბაზებში, წარმოდგენილია 53 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის მხატვრების პოლიტიკური პლაკატები.

◎ **ჰავანა. ამჟამად უკვე ჰაიტის ასამდე პოლიტიკურმა მოღვაწემ უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს ეგრეთ წოდებულ „საყოველთაო არჩევნებში“, რომელიც გენერალ ნამფის მეთაურობით მმართველმა ტრიუმვირატმა 17 იანვრისათვის დანიშნა.** არჩევნების წინააღმდეგ ბოიკოტის გამოცხადების განზრახვას ისინი იმით ასაბუთებენ, რომ რეპრესიული რეჟიმის მმართველობის პირობებში არ არსებობს პრეზიდენტობის, პარლამენტისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წევრობის კანდიდატებისათვის ნამდვილი თავისუფალი კენჭისყრის მოწყობის გარანტია.

კონტაქტები

საქართველო ოდითგანვე განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო პოლონელთათვის. ამ ორი ხალხის კულტურული ურთიერთობა, შორეულ წარსულში რომ გაუდგამს ფესვი, დღეს უფრო ინტენსიურად გრძელდება და ახალ-ახალ ფურცლებსაც ავსებს. ჩვენი ერის ძირძველი ისტორია, მისი აწმყო და მყოობადი ერთ-ერთი აქტუალური კვლევის საგანი გახლდათ და გახლავთ პოლონელ მეცნიერთათვის. ამის თვალსაჩინო დასტურია ახლახან პოლონურ ენაზე გამოცემული „საქართველოს ისტორია“, რომლის ავტორები არიან მამა-შვილი ბოგდან და ქშიშტოფ ბარანოვსკები. კრებულის პირველი ნაწილი (XVIII საუკუნის ჩათვლით) ბატონ ბოგდანს დაუმუშავებია, XIX საუკუნიდან მოყოლებული კი ქშიშტოფს გაუსრულებია.

ამრიგად, პოლონელმა მკითხველმა პირველად იხილა მშობლიურ ენაზე „საქართველოს ისტორია“ თანდართული რუკებითა და ილუსტრაციებით, გეოგრაფიულ-ეთნიკური და ბიბლიოგრაფიული ცნობარით. ინტერესი ამ წიგნისადმი იმდენად დიდია, რომ მიუხედავად სოლიდური ტირაჟისა (20.000 ეგზემპლარი), გამოჩენისთანავე გამქრალა წიგნის მაღაზიათა თაროებიდან, რაც მის ხელმეორედ გამოცემის საჭიროებაზე მიგვანიშნებს.

ახალგაზრდა პოლონელმა ჟურნალისტმა თადეუშ დეპტულამ სპეციალურად „კომუნისტისთვის“ მოამზადა ინტერვიუ „საქართველოს ისტორიის“ ავტორებთან. მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თადეუშ დეპტულა ორი წლის წინათ პრაქტიკას გადიოდა საქართველოს ტელევიზიაში. მისი სახით ჩვენ კარგი მეგობარი შევიძინეთ, დაინტერესებული და ერთგული, იმდენად ერთგული, რომ ერთი წლის წინათ ქართველ ქალიშვილთან, აღმოსავლეთმცოდნე ანა ტაბატაძესთან ერთად პოლონურ-ქართული ოჯახი შექმნა.

ამ ახალი წლის დღეებში ვუსურვებთ მათ ოჯახურ ბედნიერებას, მრავალ შემოქმედებითს სიხარულსა და წარმატებას.



სურათებზე: ბოგდან და ქშიშტოფ ბარანოვსკები (ზემოთ), თადეუშ დეპტულა.

საქართველოს სიყვარულით

ინტერვიუ სპეციალურად „კომუნისტისთვის“

— ბატონო პროფესორო, როდის დაინტერესდით საქართველოს ისტორიით, და საერთოდ, რით აიხსნება თქვენი ეს ინტერესი?

— კავკასიის ისტორიით ჯერ კიდევ ომამდე დავინტერესდი, როცა ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქეთის ისტორიის განყოფილების სტუდენტი ვიყავი. ჩემზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველთა გმირულმა ბრძოლამ თურქეთის წინააღმდეგ. ისევე როგორც ბევრ სხვა პოლონელს, მეც მესიმპათიებოდა საქართველო. კავკასიაში მცხოვრებ პოლონელთა დახმარებით მოვაგროვე მასალები პირველ მსოფლიო ომამდელ საქართველოს ცხოვრების შესახებ. ბედად ეს მასალები ფაშისტებს გადაურჩა, და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩემს შვილთან ქშიშტოფთან ერთად (ისიც საქართველოს ისტორიაზე მუშაობს) დავწერე წიგნი „პოლონელები კავკასიის გზებზე“.

— ეს ხომ თქვენი პირველი ნაშუშევარი არ არის საქართველოს ისტორიაში.

— პირველი წიგნი ამ ორმოცი წლის წინათ დავწერე — „აღმოსავლეთის შესწავლა პოლონეთში XVIII-XIX საუკუნეებში“. მასში დიდი თავი ეთმობა საქართველოს. ამის გარდა დაწერილი მაქვს ბევრი ნაშრომი. მაგალითად, ქსენძ კრუშინსკის შესახებ, რომელიც XVIII საუკუნეში ქართლის მეფის მდივანი ყოფილა, კაზიმირ ლაპჩინსკზე — „ვეფხისტყაოსნის“ პირველ მთარგმნელზე.

— ქართველ ისტორიკოსთაგან ვისთან გიმუშავიათ?

— აწ განსვენებულ იასე ცინცაძესთან. მას აქვს ნაშრომი „საქართველო-პოლონეთის ურთიერთობა XVI-XVII საუკუნეებში“. შევხვედრივარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიკოსებს გ. ზედგენიძეს (მან ჩინებულად იცის პოლონური ენა და ამას წინათ ლოძის უნივერსიტეტის მოწვევით რამდენიმე თვეს მუშაობდა პოლონეთში), პროფესორ გ. ლორთქიფანიძეს, ი. ტაბაღუას, და მითათბირია მათთან ჩემთვის საინტერესო საკითხებზე.

— რა სიძნელეები გქონდათ მუშაობისას?

— უწინარეს ყოვლისა, ენობრივი ბარიერი. ქართული ენა ერთ-ერთი უძნელესია მსოფლიოში.

— ყველაზე მეტად საქართველოს ისტორიის რომელი პერიოდი გიზიდავთ?

— საქართველოს მთელი ისტორია იმდენად საინტერესოა, ძნელია რომელიმე პერიოდი გამოარჩიო. და მაინც, ჩემთვის ყველაზე ახლობელია XVIII-XIX საუკუნეები. გარდა ამისა, მიყვარს დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, საინტერესოა მისი დამოკიდებულება პოლონეთისადმი. ამის თაობაზე საქართველომ ჯერაც არა იცის რა, მე კი უკვე ჩაფიქრებული მაქვს ახალი ნაშრომი „გიორგი სააკაძე და პოლონეთი თურქების წინააღმდეგ“. გიორგის დროს შეებრძოლნენ ქართველები და პოლონელები თურქებს ბახჩისარაიში. გვქონდა აგრეთვე გაცხოველებული აღებ-მიცემობა.



— თქვენ ახლახან გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ თანაავტორი ბრძანდებით, ერთი რამ ამიხსენით: გამიგონია, პოლონეთის 1881 წლის აჯანყებასა და საქართველოს 1882 წლის შეთქმულებას შორის რაღაც კავშირი ყოფილა...

— დიახ, ამბობენ, თუმცა, მე, ცოტა არა იყოს რა ეჭვი მეპარება. მგონია, რომ საქართველოში მაშინ სამისოდ ხელსაყრელი ვითარება არ იყო.

— როდის გამოჩნდნენ პოლონელები საქართველოში?

— პირველი პოლონელები ლვოვიდან, ვარშავიდან, კამენეციდან და ზამოშჩიდან ჩავიდნენ საქართველოში, ისინი ვაჭრობას ეწეოდნენ. საქართველოში ყოფილან თურქეთში ტყვედ წასხმული პოლონელებიც, აგრეთვე ბერები. ზემოხსენებული ქსენძ კრუშინსკი ლათინურად თარგმნიდა ქართლის მეფის მიმოწერას სხვა ქვეყნებთან. საქართველოდან დაბრუნების შემდეგ კრუშინსკიმ XVIII საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს ლვოვში გამოსცა სამი დიდი ნაშრომი, რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ისტორიასა და ყოფას. ეს ნაშუშევარი ლათინურიდან ბევრ სხვა ენაზე ითარგმნა. ასე რომ, XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ევროპა კავკასიაში საქმის ვითარების კურსში იყო პოლონელთა წყალობით. მე მგონია ეს ნაშრომები იმ საუკუნის ყველაზე საინტერესო წყაროა.

პოლონელთა დიდი ჯგუფები ჩამოვიდნენ საქართველოში 1831 და 1863 წლების აჯანყებების შემდეგ. ისინი რუსის ჯარის შემადგენლობაში იყვნენ და საქართველოში გაიგზავნენ. ბევრი იქ ოჯახს მოეკიდა...

— მაგრამ ქართველები ხომ პოლონეთში XX საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდნენ?

— არა, გაცილებით ადრე. უკვე XVIII საუკუნეში ქართველმა, როტმისტრმა გურჯინსკიმ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლონურ დიპლომატიაში. იგი არაერთხელ ყოფილა პოლონეთის მეფის ელჩად ისპაჰანში. შემდგომში კი ქართველები მეფის არმიის ოფიცრებად და ადმინისტრაციის მოხელეებადაც მოგვევლინენ, ვარშავის უნივერსიტეტში სწავლობდა ქართველ სტუდენტთა დიდი ჯგუფი, რომლებიც დიდად მეგობრობდნენ პოლონელებთან. დიდი მასალა მაქვს მოგროვებული და ვაპირებ დავწერო ნაშრომი პოლონეთში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ.

— თქვენს ნაშრომში რამეს თუ იტყვით იმ ქართველებზე, რომლებიც პოლონურ ჯარში მსახურობდნენ XX საუკუნის 20-იან წლებში?

— შეიძლება დავწერო რამე. სტუდენტობისას ბევრი ქართველი მეგობარი მყოლია, ყველანი ემიგრანტები იყვნენ და ჩემთან ერთად სწავლობდნენ. პოლონურ ჯარშიც ბევრი ქართველი ოფიცერი იყო, ჩვენთან ერთად რომ ებრძოდა ჰიტლერს. როცა ტყვედ ჩავარდებოდნენ ხოლმე, გერმანულ არმიაში შესვლას სთავაზობდნენ თანამდებობის შენარჩუნებით; მაგრამ არ მახსოვს, რომელიმე დათანხმებულიყოს. მათ საკონცენტრაციო ბანაკებში ამოხდათ სული. გმირობა გამოიჩინა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა, ეპისკოპოსმა გრიგოლ (გრიგოლ) ფერაძემ, რომელმაც სიცოცხლე გასწირა პოლონელის — დიდი ოჯახის მამის გადასარჩენად.

ომებს შორის პერიოდში ვარშავის უნივერსიტეტში მუშაობდა დოცენტი ნაკაშიძე. სემინარებს ატარებდა ქართულ ენაში. ქართული ენის სამყაროში მან ჩამახედა.

— ბატონო პროფესორო, ვინც საქართველოს ისტორიას გასცნობია, ამბობს, ბევრი რამ აქვსო საერთო პოლონეთის ისტორიასთან?

— დიახ, მეც დამაინტერესა იმ ფაქტმა, რომ ამ ორი, სულ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიაში ბევრი პარალელია — როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. თუნდაც თავდადებული ბრძოლა მაჰმადიანთა წინააღმდეგ და ფეოდალური დაქსაქსულობა ძალზე მაგონებს პოლონეთის ისტორიის ფურცლებს.

— მაშინ, ალბათ, ქართველთა და პოლონელთა ხასიათშიც უნდა იყოს რაღაც საერთო ნიშნები; იქნებ, ამითაც აიხსნებოდეს მათი სიმპათიები ერთმანეთისადმი?

— მე მგონია, პოლონეთი და საქართველო ერთადერთი ქვეყნებია მსოფლიოში, სადაც წვრილი თავადაზნაურობა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ პოლონეთში, მისი გაყოფის წინ, თავადაზნაურობა მოსახლეობის 8 პროცენტს შეადგენდა. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეს ფენა მეტი იყო, საქართველოა — 12 პროცენტი. სწორედ აქედან მომდინარეობს ქართველთა რაინდული კულტურა, დახვეწილობა, გულახდილობა და უბადლო სტუმართმოყვარეობა. საქართველო, ისევე როგორც პოლონეთი, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ესეც გვაკავშირებს და ჩვენი ტრადიციული მეგობრობა დღემდე გრძელდება.



ფრთხილად, ანტისაბჭოურია!

მტრულად, გამომწვევად

„ინფორმატიკა ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაში“ — ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც აი უკვე სამი კვირაა მუშაობს თბილისში. ექსპოზიციაში წარმოდგენილია საკომპიუტერო, სატელევიზიო და ვიდეოტექნიკის ნიმუშები, რომლებიც ადამიანის კეთილი თანაშემწენი გახდნენ მის მრავალფეროვან საქმიანობაში. კერძოდ, ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა განათლება, მედიცინა, კულტურა, დასვენება, სამუშაო ადგილის ორგანიზაცია. ცალკე განყოფილება ეძღვნება თემას „ამერიკელები შინ“. მართალია, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ გამოფენა ვერ იძლევა წარმოდგენას ტექნიკური აზრის უკანასკნელი მიღწევების შესახებ: ექსპონატების უმრავლესობა მეცნიერებისა და ტექნიკის უკვე გუშინდელი დღეა.

მაგრამ მაინც არ აკლია გამოფენას მნახველები, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში, სადაც ექსპოზიციაა მოწყობილი, მუდამ ბევრი ხალხია. როცა შესასვლელთან მიღებულ ბუკლეტს გადაფურცლავენ და სურთ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ ამა თუ იმ ექსპონატის შესახებ, ადამიანები ჩერდებიან სტენდებთან, რათა არა მარტო დაათვალიერონ კომპიუტერები, არამედ მოუსმინონ კიდეც გიდებს, დააზუსტონ მათგან მონაცემები გამოფენილი ტექნიკის შესახებ. მაგრამ, ამერიკის გამოფენის მიკროფონმომარჯვებულ მასპინძელთა პასუხი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ისინი თვავდ ვერ ერკვევიან თანამედროვე კომპიუტერების დეტალებში, დათმობილ ტრიბუნას კი იყენებენ აქტიურად, მაგრამ სრულიადაც არა დანიშნულებისამებრ, ვრცლად მსჯელობენ იმის თაობაზე, თუ, მაგალითად, რა ცუდად ვცხოვრობთ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები საკუთარ სახლში. რა თქმა უნდა, ახლა გაგვიჭირდება მსჯელობა ამერიკის შეერთებულ შტატებში გიდების მომზადების სისტემაზე, მაგრამ სტუმრები, მეტი რომ არა ვთქვათ, მთლად კორექტულად არ იქცევიან. ამასთან მათი პროფესიული მომზადებაც მთლად დამაკმაყოფილებელი ვერ არის. აბა, სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ, როცა დამთვალიერებელთა კითხვაზე, თუ როგორ არის მოწყობილი ესა თუ ის აპარატი, გიდები მზად არიან კვლავ და კვლავ გაიმეორონ გაზეპირებული ფრაზები იმაზე, თუ რა ცუდად ცხოვრობენ საბჭოთა კავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი სამოთხეაო. ერთი ანდაზისა არ იყოს, „სად ერეკლე, სად თეკლეო“.

საყოველთაოდ არის ცნობილი საბჭოთა ადამიანების სტუმართმოყვარეობა და მასპინძლობა. ჩვენთან ჩამოსული ბევრი უცხოელი სტუმარი აღტაცებით ლაპარაკობს ამაზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა სსრ კავშირში ჯეკ მეტლოკმა, რომელმაც ეს გამოფენა გახსნა, თბილისიდან გამგზავრების წინ საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა: „მადლობელი ვარ შესანიშნავი მასპინძლობისათვის!“.

მაგრამ ამჯერად თბილისელები იძულებული არიან თავი შეიკავონ, ყოველი ღონე იხმარონ, რათა არ დაარღვიონ საუკუნოვანი ტრადიციები, რომელთა თანახმად მასპინძელმა სტუმარს პატივი უნდა სცეს. მაგრამ მოთმინებასაც აქვს თავისი საზღვარი და ბოროტად არ უნდა გამოიყენო.

რედაქციაში მოდის წერილები, რომელთა ავტორები არ მალავენ თავიანთ აღშფოთებას ზოგიერთი გიდის საქციელის გამო. „გამოფენა ურიგო არ არის, — წერს თბილისელი რომან ლექავა. — მაგრამ, საერთო შთაბეჭდილებას აფუჭებს გიდის ილინსკის საქციელი. ეს კაცი, რომელიც თურმე პროფესორი ყოფილა, ექსპონატების განმარტების ნაცვლად დამთვალიერებლებს თვითონ აძლევს პროვოკაციულ კითხვებს“.

თბილისის № 148 საშუალო სკოლის პედაგოგი ნ. არუთინოვა შენიშნავს: „გამოფენაზე მომუშავე გიდებს ჩვენი ქვეყნის შესახებ ინფორმაცია მოძველებული და წინასწარ აკვიატებული აქვთ. ჯიუტად ეძებენ ისინი ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს, აზვიადებენ ნაკლოვანებებს, რომლებსაც, სხვათა შორის, ჩვენ არ ემალავთ. და კიდევ: როგორც ისტორიის მასწავლებელმა, მინდა ვურჩიო გიდებს კოვაჩს, სკანდრიჩს, სმიტს, გამოფენის ბიბლიოთეკარს მაიკლს: სანამ ასე უაპელაციოდ დაიწყებდნენ მსჯელობას ჩემი ქვეყნის ისტორიის, ის კი არა, საკუთარი ქვეყნის ისტორიის შესახებ, ურიგო არ იქნებოდა ჯერ შეესწავლათ იგი.

გიდების სუსტი ტექნიკური მომზადების, მათი იმ მისწრაფების შესახებ, რომ თავი აარიდონ პასუხს კონკრეტულ კითხვებზე, საუბარს პოლიტიკური ხასიათი მიანიჭონ, რაც ზოგჯერ ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა ადამიანებისათვის შეურაცხმყოფელიც არის, აღშფოთებით გველაპარაკნენ ინჟინრები ნ. ჩოჩუა და კ. ნინიძე, პედაგოგი ნ. ჯულელი, კომპიუტერების სპეციალისტი თ. ახობაძე, მრავალი სხვა.

— ასეთნაირად კონტაქტები ჩვენს ხალხებს შორის ვერ დამყარდება, — თქვა თბილისის 82-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ლ. ვორობიოვამ. — პატივს უნდა ვცემდეთ ერთმანეთს და საკუთარ აზრს სხვას ძალით არ უნდა ვახვევდეთ თავს.

როცა უსმენ სასიამოვნო გარეგნობის, ელეგანტურ უილიამ სკანდრიჩს—რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ თანამშრომელს, მუდამ თავში გიტრიალებს აზრი, რომ ამერიკის გამოფენის ძირითადი მიზანია არა აჩვენოს ინფორმატიკა ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებაში, არამედ რადაც უნდა დაუჯდეს, დაამტკიცოს ამერიკული ცხოვრების წესის უპირატესობა. ხშირად თავისი გულმოდგინებით იგი აბსურდამდე მიდის. მაგალითად, სკანდრიჩი ამტკიცებდა, რომ თურმე უმუშევარი ამერიკის შეერთებულ შტატებში მშვენივრად ცხოვრობს, რადგან მისი დახმარება ზოგიერთი კატეგორიის ამერიკელი მუშების ხელფასსაც კი აღემატება. და საერთოდ, რა საჭიროა მუშაობდე, როცა ისედაც შეიძლება უჭირველად იცხოვრო. მისი, უკაცრაული პასუხია, ფილოსოფიური განზოგადებების არსი შემდეგია: იყო უმუშევარი — ნიშნავს ცხოვრობდე უდარდელად, არ გქონდეს ბინა—ნიშნავს, არ იხდიდე ბინის ქირას.

გამოფენაზე მრავალი ახალგაზრდა მოდის. განსაკუთრებით ხალხმრავლობაა სტენდთან, სადაც შეგიძლიათ მოისმინოთ ამერიკული ფირმების მუსიკალური პროდუქცია. აქ მაშინ მოვედით, როცა, როგორც გიდი, ახსნა-განმარტებას იძლეოდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უნივერსიტეტის ასპირანტი სმიტი. სტუდენტებმა, მოსწავლეებმა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა მას პირდაპირ კითხვები დააყარეს ამერიკულ მუსიკაში თანამედროვე მიმდინარეობების, პოპულარული ანსამბლებისა და შემსრულებლების შესახებ. სმიტი კი, როცა კითხვებს უპასუხებდა, მოულოდნელად მოჰყვა ლაპარაკს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირში არ არის პრესის თავისუფლება და გადაადგილების თავისუფლება, რომ საბჭოთა პრესა, თურმე, მხოლოდ ანტიამერიკულ პროპაგანდას ეწევა. მისი თქმით, საბჭოთა ქვეყანა ეწინააღმდეგება შეერთებულ შტატებთან ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას. ამასთან მან სიტყვით გაიმეორა პიტერ ფედინსკის, ჩარლზ სტრაუსის, მანამდე მოსკოვში, კიევში, როსტოვში გამართული ამერიკული გამოფენის სხვა გიდების გამონათქვამები. ამერიკის გამოფენის ზოგიერთი გიდის აშკარად მტრული, გამომწვევი საქციელი, მათი ტენდენციურობა და წინასწარ აკვიატებული აზრი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარის შეფასებაში სულაც არ შეეფერება დათბობას საერთაშორისო ასპარეზზე უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ, რომელიც დამთავრდა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულების დადებით და გახდა შარშანდელი წლისა და მთელი ომისშემდგომი პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა, ორივე ქვეყნის ურთიერთობის საგრძნობ გაუმჯობესებას რომ მოასწავებს. იგივე თქვა თბილისში ექსპოზიციის გახსნაზე გამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საბჭოთა კავშირში ჯეკ მეტლოკმა და რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ დირექტორმა რიჩარდ კარლსონმა, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გამოფენის ამოცანაა ხელი შეუწყოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხების ურთიერთგაგების განმტკიცებას.

მაგრამ ამ კარგ სიტყვებს არ შეეფერება ამერიკის გამოფენის ზოგიერთი გიდის „ქადაგება“.

**თენგიზ გრიგალაშვილი,
იური გოლდმანი,**
საქინფორმის კორესპონდენტები.

სპორტი

თანხმობა განაცხადეს

1988 წელი ოლიმპიური ასპარეზობის წელიწადია. თებერვალში კანადის ქალაქ კალგარში დაიწყება ოლიმპიური შეჯიბრება ზამთრის სახეობათა სპორტში, სეული კი ზაფხულის ოლიმპიადას უმასპინძლებს. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები დადებითად გამოეხმაურნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიწვევას მონაწილეობა მიიღონ 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობაში. მათ შორის არიან სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ოფიციალური თანხმობა უკვე გაუგზავნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთისა და პოლონეთის ოლიმპიურმა კომიტეტებმა.

გაიმარჯვა ვალერი ტუკმაკოვმა

ვალერი ტუკმაკოვის გამარჯვებით დამთავრდა იტალიის ქალაქ რეჯონელ-ემილიაში გამართული მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა დიდოსტატმა 6 ქულა მოაგროვა. ბოლო ტურში ტუკმაკოვი დაუზავდა ლარი კრისტიანსენს (აშშ), რომელმაც ალექსანდრე ბელიავსკისთან ერთად მეორე-მესამე ადგილები გაიყო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ლაიოშ პორტიში, ზოლტან რიბლი და ვიქტორ კორჩნოი.

მოკლედ

ხელბურთი. საბჭოთა კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა ესპანეთის ქალაქ ოვედოს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. ფინალში ჩვენი ხელბურთელები მასპინძელთა ნაკრებთან დამარცხდნენ — 22:23. მესამე ადგილი დაიკავა საფრანგეთის გუნდმა.

ჭადრაკი. ჰასტინგსში (ინგლისი) გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. ფრედ დამთავრდა ფსახისისა (სსრ კავშირი) და დევისის (ინგლისი) მეშვიდე ტურის პარტია, დაზავდნენ აგრეთვე ნანი-შორტი, სპილმან-ჩანდლერი (ყველა — დიდი ბრიტანეთი), ბენჯამინ (აშშ)-ლარსენი (დანია). 4,5 ქულით ლიდერობს შორტი, ფსახისს 3,5 ქულა აქვს.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

ტელევიზია—პარასკევი, 8 იანვარი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.30 — ბავშვებს მხეცების შესახებ. 10.00 — მხატვრული ტელეფილმი „ასეთად დამიხსომეთ“. I სერია. 11.05 — გარდაქმნა: გამოცდილება და პრობლემები. 11.45 — ფილმ-კონცერტი „რუსული ფანტაზია“. 12.35 და 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — „მივმართავ მეგობრებს“. დოკუმენტური ტელეფილმი პოეტ ი. სმელიაკოვის შემოქმედების შესახებ. 17.40 — საახალწლო ნაძვისხე კრემლის ყრილობათა სასახლეში. 18.30 — ახალი ამბები. 18.35 — ცნზეული დემოკრატიას. საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის ძირითადი მიმართულება. 19.05 — მულტფილმები. 19.35 — ვოლგოგრადის ტელესტუდიის პროგრამა. 20.30 — დღეს მსოფლიოში. 20.50 — „ასეთად დამიხსომეთ“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — „ბუდაპეშტური კალეიდოსკოპი“. 0.05 — საღამოს მუსიკალურ-საინფორმაციო პროგრამა „შეხვედრება“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.20 — უკრავს კამერული ორკესტრი. 10.45 — მულტფილმები. 11.15 — მხატვრული ტელეფილმი „არ მინდა გამელელი ვიყო“. 12.20 — ინგლისური ენა. 12.50 — მუსიკა ჰენდელის ოპერიდან „ალცინა“. 13.10 — „რეზიდენტის“ ოპერაციის დასასრული“. II სერია. 14.20 — ლიტერატურული პორტრეტი. ფაზილ ისკანდერი. 15.20 — სკოლების საგუნდო კოლექტივების კონცერტი. 16.00 — ახალი ამბები. 16.05 — ექსპედიცია XXI საუკუნეში. მე-6 გამოშვება. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — „ნუთუ ეს ჩვენ ვართ?“. დოკუმენტური ტელეფილმი მომსახურების სფეროს შესახებ. 19.45 — რეკლამა. 19.50 — კალათბურთი. მოსკოვის „დინამო“ — „კალევი“. 20.30 — უსაფრთხო მოძრაობა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის მ. ბიეშუს კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — „რეზიდენტის“ ოპერაციის დასასრული“. II სერია. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ზარი“. 10.00 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო. საუმაწვილო სატელევიზიო კინოდარბაზი; მხატვრული ფილმი „ზღაპარი მამაც მჭედელზე“. 11.10 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.15 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.25 — მეგობრულ წრეში ფრანგული ენა. 15.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ოცნების დღესასწაული“. 16.10 — ხალხური შემოქმედება. „ფოლკლორული საღამო გორში“. 17.25 — განცხადებები. 17.30 — „ჯადოსნური ეკრანი“. 17.55 — თეატრალური ვიქტორინა. 19.15 — საქართველოს საფეხბურთო პირველობა. 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები — ცხაკაიელი დეპუტატები. 21.05 — კინონარკვევი. 21.25 — სპორტული პროგრამა. 21.55 — საქართველოს სანოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი“ (მ). 22.50 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“. მხატვრული ფილმი „კანონიერი ქორწინება“.

მეორე პროგრამა. 17.05 — მხატვრული ფილმი „მამივწერა ხელმწიფე“. 18.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წვევამდელები“. 19.15 — „ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ბაბალე — მზეთუნახავი“.

თეატრი

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ქონდრისკაცის საახალწლო თავგადასავალი** (11 ს. 30 წ. და 16 ს. 30 წ.); რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური — **მერი პოპინსი** (დილით, დიდი დარბაზი); **საზრალდებო დახკვნა** (დიდი დარბაზი), **„ამალამ, მგონი, იქნება ქარი“** (დილით, მცირე დარბაზი); **სამანიშვილის დედინაცვალი** (საღამოს, მცირე დარბაზი); მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური — **სტელა და ავი სული** (საღამოს); სახელმწიფო დრამატული — **„ბაზალეთის ტბის ძირას“** (აბონემენტი № 20, მე-6 წარმოდგენა); მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული — **კუკარაჩა** (აბონემენტი № 81, დასაწყისი 7. ს.); ახალგაზრდული დრამატული სახელმწიფო თეატრ-სტუდია — **„უფანდურიდ სამღერი“**; იუმორისა და სატირის სახელმწიფო — **ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები.**

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უუ 10604 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო ქაღალდი, ხოშარაულის ჟ.

1 2 3 4 5 ← 7 8 → 10 11 12 13 14